UNITED NATIONS
GEORGIA

წლიური ანგარიში

2023

ფოტო: ლელი ბლაგონრავოვა/UNDP
გაეროს ტრენინგის მონაწილის მაისურის წარწერა ყველაფერს ამბობს: „ძლიერი ქალი ძლიერი იდეით“ – ეს არის საქართველოში გაეროს საქმიანობის ერთ-ერთი საკვანძო მიზანი. ჩვენ ხელს ვუწყობთ ქალთა გაძლიერებას და გენდერული თანასწორობის დამკვიდრებას

სარჩევი

წინასიტყვაობა 3

გაეროს გუნდი საქართველოში 4

გაეროს პარტნიორები საქართველოში 4

1 განვითარების კონტექსტი საქართველოში 5

2 გაეროს განვითარების სისტემის მხარდაჭერა განვითარების ეროვნული პრიორიტეტებისთვის „თანამშრომლობის ხელშეკრულების“ მეშვეობით 6

შედეგი 1: 7
2025 წლისთვის საქართველოში ყველა ისარგებლებს გაუმჯობესებული მმართველობით, უფრო ღია, სტაბილური და ანგარიშვალდებული ინსტიტუტებით, კანონის უზენაესობით, თანაბრად ხელმისაწვდომი მართლმსაჯულებით, ადამიანის მეტად დაცული უფლებებით და ქალთა მეტი წარმომადგენლობითა და მონაწილეობით გადაწყვეტილების მიღების პროცესში

შედეგი 2: 14
2025 წლისთვის საქართველოში ყველას ექნება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, სამართლიანი და ინკლუზიური წვდომა ხარისხიან, სტაბილურ და გენდერულ თანასწორობაზე დაფუძნებულ სერვისებზე

შედეგი 3: 21
2025 წლისთვის, საქართველოში მდგრადი, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკით ისარგებლებს ყველა ადამიანი, დისკრიმინაციის გარეშე

შედეგი 4: 27
2025 წლისთვის კონფლიქტით დაზარალებული თემები ისარგებლებენ ადამიანის უფლებებით, გაზრდილი უსაფრთხოებითა და მედეგობით

შედეგი 5: 34
2025 წლისთვის საქართველოში თითოეული ადამიანის უსაფრთხოება და მედეგობა უზრუნველყოფილი იქნება დისკრიმინაციის გარეშე, გაუმჯობესებული გარემოსდაცვითი მმართველობის, კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ მიმართული ძალისხმევისა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვის შედეგად

3 პარტნიორობის მხარდაჭერა და 2030 წლის დღის წესრიგის დაფინანსება 40

4 ერთად მუშაობა უფრო ხშირად და უკეთესად: გაეროს თანმიმდევრულობა, ეფექტურობა და ეფექტიანობა 41

5 რესურსების მობილიზება და ფინანსური მიმოხილვა 43

6 გაეროს საქმიანობის ძირითადი ფოკუსი საქართველოში 2024 წლისთვის 46

წინასიტყვაობა

გაეროს საქართველოს გუნდის სახელით, მოხარული ვარ, წარმოგიდგინოთ შარშანდელი, საქართველოს მთავრობასთან გაფორმებული „2021-2025 წწ გაეროს მდგრადი განვითარების თანამშრომლობის ხელშეკრულების“ მესამე წელს მიღწეული შედეგები. სხვადასხვა პარტნიორთან ერთად, ჩვენ მხარს ვუჭერდით საქართველოს, ქვეყნის განვითარებისთვის დასახული პრიორიტეტებისა და მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების გზაზე.

ამჟამად მოქმედ „2021-2025 წწ გაეროს მდგრადი განვითარების თანამშრომლობის ხელშეკრულებას“ ხელს ვაწერთ პრემიერ-მინისტრი და მე, გაეროს მუდმივი კოორდინატორი, როგორც ერთობლივად გამოხატულ ვალდებულებას, უფრო წარმატებული, მშვიდობიანი, ინკლუზიური და გაძლიერებული ქვეყნის მშენებლობის მიზნით. ჩვენი ერთობლივი მუშაობის საერთო ამოცანად რჩება ადამიანის კეთილდღეობის, შესაძლებლობებისა და სოციალური თანასწორობის გაძლიერება საქართველოში 2025 წლისთვის, ყველაზე მოწყვლად და მარგინალურ ჯგუფებზე ფოკუსირებით.

გასული წლის განმავლობაში, მსოფლიო ისევ ებრძოდა მიმდინარე და ახალ გამოწვევებს, როგორიცაა: ომები, კლიმატის კრიზისი და მზარდი უთანასწორობა. 2023 წლის სექტემბერში, მსოფლიოს ლიდერები ნიუ-იორკში შეიკრიბნენ „მდგრადი განვითარების მიზნების“ სამიტზე, რათა „2030 წლის დღის წესრიგის“ განხორციელების შუა ეტაპი აღენიშნათ და კვლავ დაედასტურებინათ ნაკისრი ვალდებულება მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის მიმართ მაშინ, როცა გლობალურ დონეზე ჯერჯერობით ამ მიზნების მხოლოდ 15 პროცენტია მიღწეული. სასწორზე ძალიან ბევრი რამ დევს და ამბიციური ტრანსფორმაციული რეფორმები გადაუდებელი მნიშვნელობის საკითხია.

2023 წელს გაერო საქართველოს ეხმარებოდა უფრო მეტი მდგრადობის მიღწევაში, განვითარებაზე მიმართული საკვანძო რეფორმების წინ წამოწევაში, ადამიანის უფლებების დაცვაში, უთანასწორობის შემცირებასა და კლიმატის მოქმედების განმტკიცებაში, რისთვისაც სულ 51 მილიონ აშშ დოლარად ღირებული პროგრამები განხორციელდა. ჩვენ დავეხმარეთ ადგილობრივ ხელისუფლებას, სათემო ორგანიზაციებს და სხვა ადგილობრივ სუბიექტებს დეცენტრალიზაციის ეროვნული რეფორმის კონტექსტით უფრო მეტი წვლილი შეეტანათ მდგრად განვითარებაში. სამოქალაქო საზოგადოების როლი უმთავრესია ჩვენს ერთობლივ ძალისხმევაში მიზნების მისაღწევად. მოვახერხეთ საქმიანობის გაგრძელება აფხაზეთში, სადაც გაერო კვლავ უჭერდა მხარს კონფლიქტით დაზარალებულ თემებში მცხოვრებთ და მოწყვლად ადამიანებს.

ახლა, როგორც არასდროს, მნიშვნელოვანია ერთად მუშაობა, რათა ახლებურად გავიაზროთ და შევიგრძნოთ, თუ რამდენად გადაუდებელი მნიშვნელობისაა საქართველოს მიერ ძირითადი ვალდებულებების შესრულება ადამიანის უფლებებისა და მდგრადი განვითარების საკითხში. მოუთმენლად ველით სტრატეგიული თანამშრომლობის გაძლიერებასა და გაგრძელებას საქართველოს მთავრობასთან, სამოქალაქო საზოგადოებასა და ქვეყანაში მოქმედ სხვა მხარეებთან, სანდო და ჭეშმარიტი პარტნიორობის სულისკვეთებით. გულთბილ მადლობას მოვახსენებ ჩვენს ბევრ კოლეგას საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან თანამშრომლობისთვის და მოგმართავთ, ერთობლივად შევაჯამოთ ჩვენი საერთო შედეგები და სამომავლო გეგმები.

დოქტორი საბინე მახლი

გაეროს მუდმივი კოორდინატორი
საქართველოში

გაეროს გუნდი საქართველოში

გაეროს პარტნიორები საქართველოში

გაეროს გუნდი საქართველოში ამჟამად გაეროს 21 ორგანიზაციით არის წარმოდგენილი, რომელთა თანამშრომლები საქმიანობენ როგორც საქართველოში, ასევე – მის ფარგლებს გარეთ მოქმედ ოფისებში. ისინი ერთად მუშაობენ, როგორც გაერთიანებული ერების ერთიანი ორგანიზაცია, საქართველოს ეროვნულ დონეზე განვითარების მიზნით პრიორიტეტების მიღწევასა და 2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგის მხარდასაჭერად.

გაეროს გუნდს ხელმძღვანელობს საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუდმივი კოორდინატორი, რომელიც ქვეყანაში განვითარების საქმიანობის განსახორციელებლად და წარმომადგენლად არის დანიშნული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მიერ და მის მიმართ არის ანგარიშვალდებული.

01

განვითარების კონტექსტი საქართველოში

3,69 მილიონი

მოსახლეობის რიცხოვნობა

(იანვარი 2024)

61.0% - ქალაქის მოსახლეობა

39.0% - სოფლის მოსახლეობა

10.8 - შობადობის კოეფიციენტი

1 000 კაცზე

რეგიონული კონფლიქტებისა და არასტაბილურობის მიუხედავად, საქართველომ კოვიდის შემდგომ ძლიერი ეკონომიკური აღმავლობა განიცადა. მისი რეალური მშპ 2022 წელს 10.1%-ით გაიზარდა, რაც ფულადი გზავნილებით, კაპიტალის შემოდინებითა და ვაჭრობით იყო განპირობებული. უკრაინაში რუსეთის შეჭრამ უკრაინელი ლტოლვილებისა და რუსეთის მოქალაქეების უწყვეტი შემოდინება გამოიწვია, რასაც დიდი ოდენობით თანხის გადმორიცხვა მოჰყვა თან. ძლიერი ზრდის შედეგად, მთავრობამ ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება და საგარეო ვალის მიმართ საკუთარი პოზიციის გაუმჯობესება შეძლო. ამავდროულად, მაღალმა ინფლაციამ, განსაკუთრებით კი პირველადი მოხმარების საქონელზე, წარმოშვა რისკი, რომ დაბალშემოსავლიანი მოსახლეობისთვის მიწოდებული შეღავათების ეფექტი შემცირდებოდა, რაც უთანასწორობის გაღრმავების საფრთხეს აამაღლებდა.

ბოლო წლებში შესამჩნევი იყო წინსვლა ისეთ სფეროებში, როგორიცაა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების, ბავშვთა უფლებებისა და შრომითი უფლებების წინ წამოწევა, თუმცა სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობა კვლავ არსებობს და, ამის მსგავსად, ქართული საზოგადოების ნაწილი პოლიტიკურად და სოციალურად გარიყულია სიღარიბის, ძალადობისა და დისკრიმინაციის გამო, რაც განსაკუთრებით იგრძნობა ქალების, გოგოების, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების, ლესბოსელ, გეი, ბისექსუალ, ტრანსგენდერ, ქვიარ და ინტერსექს (ლგბტქი+) ადამიანების და სხვა მოწყვლადი ჯგუფების მიმართ.

საქართველოს ეკონომიკურმა აღმასვლამ შედეგად ვერ მოიტანა მყარი სამუშაო ადგილების შექმნა, ხოლო პროდუქტიულობის ზრდა კომპანიის დონეზე ისევ შეზღუდული რჩებოდა. საქართველოში შედარებით მაღალია უთანასწორობა, მაგრამ ერთ-ერთია იმ მცირერიცხოვან ქვეყნებს შორის რეგიონში, სადაც ჯინის კოეფიციენტი (პოპულაციის შემოსავლებისა და კეთილდღეობის უთანაბრობის საზომი) ბოლო ათწლეულის განმავლობაში 40-დან 34 პროცენტამდე სტაბილურად იკლებდა. თუ ეს ტენდენცია გაგრძელდება, საქართველო ევროკავშირის 30-პროცენტიან საშუალო ჯინის კოეფიციენტს 2030 წლისთვის მიაღწევს. ამავდროულად, აბსოლუტური სიღარიბე ნახევარზე მეტად შემცირდა და, 2004 წლის 37 პროცენტის ნაცვლად, მოსახლეობის 15.6 პროცენტი შეადგინა 2022 წელს, თუმცა ფარდობითი სიღარიბე, რომელიც იზომება, როგორც მოსახლეობის ის ნაწილი, ვისი მედიანური მოხმარების მაჩვენებელიც 60 პროცენტზე დაბალია, უკვე თითქმის 20 წელია, რაც უცვლელია.

საქართველოს მთავრობამ ევროკავშირში გაწევრებაზე განაცხადი 2022 წლის მარტში შეიტანა და საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მიენიჭა 2023 წლის ბოლოს, ხოლო გაწევრების მოლაპარაკებების გახსნის შესახებ გადაწყვეტილება 2024 წლის მიწურულს იქნება მიღებული. საქართველოს ეკონომიკის ამჟამინდელი მდგრადობა საშუალებას უქმნის მთავრობას, რომ სოციალურ ინკლუზიაში ჩადოს ინვესტიცია და სიღარიბე, უთანასწორობა და მარგინალიზაცია შეამსუბუქოს. რეგიონის მასშტაბით არსებული მაღალი გაურკვევლობის პირობებში, გრძელვადიანი მდგრადობისთვის საჭირო იქნება არა მხოლოდ გარე რისკების მართვა, არამედ ამბიციური სტრუქტურული რეფორმები, რაც მიმართული იქნებოდა უფრო მეტი დეცენტრალიზაციის, ადამიანური კაპიტალის განვითარების, სოფლის განვითარების, მწვანე ტრანზიციის, ადამიანის უფლებების დაცვისა და კარგი მმართველობის გაძლიერების უზრუნველყოფაზე.

75.02
მდგრადი განვითარების მიზნების ქულა
2023

7,5%
რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა
2023

15.6%
აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებელი
2022

48 -ეადგილი **142**
ქვეყანას შორის
კანონის უზენაესობის გლობალური ინდექსი
2023

0.7501
ელექტრონული მმართველობის განვითარების ინდექსი
2022

0.283
გენდერული უთანასწორობის ინდექსი
2022

0.814
ადამიანის განვითარების ინდექსი
2022

მეტი ინფორმაციის სანახავად დააწკაპუნეთ აქ:

ფოტო: RCO Georgia

02

გაეროს განვითარების სისტემის მხარდაჭერა განვითარების ეროვნული პრიორიტეტებისთვის „თანამშრომლობის ხელშეკრულების“ მეშვეობით

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გუნდი, რომელიც უკვე მესამე წელია, რაც ,,2021-2025 წწ გაეროს მდგრადი განვითარების თანამშრომლობის ხელშეკრულებას“ ახორციელებს, მუშაობას განაგრძობდა საქართველოს მთავრობასა და სხვადასხვა პარტნიორთან ერთად ადამიანთა კეთილდღეობის, შესაძლებლობებისა და სოციალური თანასწორობის გაუმჯობესების მიზნით.

გაერო საქართველოს მხარს უჭერს განვითარების მიმართ არსებული კომპლექსური გამოწვევების გადალახვაში და კვლავ ფოკუსირებული რჩება ადამიანის უფლებების დაცვაზე, სიღარიბის შემცირებაზე, გენდერულ თანასწორობაზე, ღირსეულ სამუშაოზე, კლიმატის ქმედებაზე, განათლებისა და ჯანდაცვის გაუმჯობესებაზე, ინსტიტუტების გაძლიერებასა და სხვა საკვანძო რეფორმებზე. ამ საკითხებზე მუშაობით, გაერო მხარს უჭერს ისეთი მოწყვლადი ადამიანების დაცვასა და გაძლიერებაზე მიმართულ ძალისხმევას, რომლებიც აქამდე ხშირად რჩებოდნენ განვითარების პროცესებს მიღმა საქართველოში: ბავშვებისა და ახალგაზრდების ზოგიერთი კატეგორია, არაფორმალურ სექტორში დასაქმებული პირები, ხანდაზმულები, მიგრანტები და ლტოლვილები, კონფლიქტებით დაზარალებული ადამიანები, საოჯახო ფერმერები, ქალების ზოგიერთი კატეგორია, ეროვნული და რელიგიური უმცირესობები, არადომინანტური სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის მქონე და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები.

წინამდებარე ნაწილში აღწერილია გაეროს მიერ 2023 წელს ერთობლივად მიღწეული შედეგები „გაეროს მდგრადი განვითარების თანამშრომლობის ხელშეკრულების“ (UNSDCF) ხუთი გრძელვადიანი შედეგიდან თითოეულის მიმართ.

2021 2022 **2023** 2024 2025

UNITED NATIONS
GEORGIA

მეფეები 1

ფოტო: ინგოკვეი ძნელაძე/UNDP

გაეროს მხრიდან მონაწილე სააგენტოები:

UNHCR The UN Refugee Agency · UNITED NATIONS HUMAN RIGHTS OFFICE OF THE HIGH COMMISSIONER · UN WOMEN United Nations Entity for Gender Equality and the Empowerment of Women · UNFPA · UNDP · UNODC United Nations Office on Drugs and Crime · unicef for every child · International Labour Organization · IOM UN MIGRATION

UNITED NATIONS
GEORGIA

შედეგი 1

2025 წლისთვის საქართველოში ყველა ისარგებლებს გაუმჯობესებული მმართველობით, უფრო ღია, სტაბილური და ანგარიშვალდებული ინსტიტუტებით, კანონის უზენაესობით, თანაბრად ხელმისაწვდომი მართლმსაჯულებით, ადამიანის მეტად დაცული უფლებებით და ქალთა მეტი წარმომადგენლობითა და მონაწილეობით გადაწყვეტილების მიღების პროცესში

	შესაბამისი მდგრადი განვითარების მიზნები	დანახარჯები 2023 წელს
შედეგი 1.1: ინკლუზიური ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობის სისტემები უფრო მყარია და მეტი შესაძლებლობა აქვთ გენდერული ასპექტების გათვალისწინებისთვის, მტკიცებულებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების და მონაწილეობითი პოლიტიკის ფორმირებისთვის, უთანასწორობის აღმოფხვრისა და ყველასთვის ხარისხიანი მომსახურების მიწოდებისთვის	1 NO POVERTY, 5 GENDER EQUALITY, 10 REDUCED INEQUALITIES, 16 PEACE, JUSTICE AND STRONG INSTITUTIONS, 17 PARTNERSHIPS FOR THE GOALS	$ 7.862.344
შედეგი 1.2: ეროვნული კანონმდებლობა და პოლიტიკა აღმოფხვრის დისკრიმინაციას, გაუმჯობესებს ადამიანის უფლებებს და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას	1 NO POVERTY, 5 GENDER EQUALITY, 10 REDUCED INEQUALITIES, 16 PEACE, JUSTICE AND STRONG INSTITUTIONS	$ 1.086.199
შედეგი 1.3: საკანონმდებლო ჩარჩო, პოლიტიკა და მმართველობის სისტემები უზრუნველყოფენ, გენდერულად თანასწორ შედეგებს, ებრძვიან ძალადობას ოჯახში, ბავშვთა მიმართ ძალადობას და სხვა საზიანო პრაქტიკას ქალების და გოგოების მიმართ	1 NO POVERTY, 5 GENDER EQUALITY, 10 REDUCED INEQUALITIES, 16 PEACE, JUSTICE AND STRONG INSTITUTIONS	$ 856.972

$ 9.805.515
მთლიანი დანახარჯები

1 NO POVERTY, 5 GENDER EQUALITY, 10 REDUCED INEQUALITIES, 16 PEACE, JUSTICE AND STRONG INSTITUTIONS, 17 PARTNERSHIPS FOR THE GOALS

გაეროს მხრიდან მონაწილე სააგენტოები:

UNHCR The UN Refugee Agency · UNITED NATIONS HUMAN RIGHTS OFFICE OF THE HIGH COMMISSIONER · UN WOMEN · UNFPA · UNDP · UNODC United Nations Office on Drugs and Crime · unicef for every child · International Labour Organization · IOM UN MIGRATION

ფოტო: ლელი ბლაგონრავოვა/UNDP



გაეროს დახმარებით, პროგრესულად განხორციელდა დეცენტრალიზაციის რეფორმა და მასთან დაკავშირებული 2020-2025 წლების ეროვნული სტრატეგია ისეთ სფეროებში, როგორიცაა ფისკალური დეცენტრალიზაცია, რამაც ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის ბიუჯეტების ზრდა და მუნიციპალური პრაქტიკების გამჭვირვალობა მოიტანა შედეგად

2023 წელს, გაეროს მიერ საქართველოსთვის გაწეულმა ყოვლისმომცველმა და ერთობლივმა დახმარებამ ხელი შეუწყო სამართლებრივ და ინსტიტუციურ რეფორმებს, ადამიანის უფლებების მკაცრად დაცვას და ინკლუზიური პოლიტიკის მიღებას, რაც მრავალფეროვანი საზოგადოების კეთილდღეობას აუმჯობესებს.

კარგი მმართველობის პორტფელის ფარგლებში და საქართველოს მთავრობასთან პარტნიორობით, გაერო საჯარო მმართველობის რეფორმის წინ წაწევაზე მუშაობდა მოქალაქეებზე ორიენტირებული სერვისების მიწოდების გაძლიერების, კიბერუსაფრთხოების ამაღლების, მონაცემებსა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის დაგეგმვის ხელშეწყობისთვის. „ღია მმართველობის პარტნიორობის“ ინიციატივის განვითარებამ სივრცე შექმნა მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის დიალოგის ხელშეწყობისთვის. გაერომ მხარი დაუჭირა პოლიტიკის დაგეგმვის სისტემების ინსტიტუციონალიზაციასაც პარლამენტში, რაც ყველა კომიტეტს ავალდებულებს, რომ წლიური გეგმები შეიმუშაონ და შესაბამისი ანგარიშები მოამზადონ წინასწარ განსაზღვრული ერთიანი სტანდარტების მიხედვით.

გაეროს ტექნიკური მხარდაჭერით, მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა „საბიუჯეტო კოდექსსა“ და „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“, რითაც ადგილობრივი ხელისუფლება გაძლიერდა. 2024-2026 წლების „ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარების“ პროგრამის შემუშავებაში გაეროს მხრიდან გაწეული დახმარებით, საქართველომ გადამწყვეტი ნაბიჯი გადადგა სოციალურ-ეკონომიკური ერთიანობისა და ტერიტორიული განვითარების საკითხების წამოსაწევად.

გარდა ამისა, გაერომ მხარი დაუჭირა სოციალური დაგეგმვის დეცენტრალიზაციას თვრამეტ მუნიციპალიტეტში, საჭიროებებზე დაფუძნებული, ბავშვზე ორიენტირებული სოციალური პროგრამირების პილოტირების მიზნით და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში „სოციალურ საკითხებში მუნიციპალური პლატფორმა“ შექმნა, რათა ბავშვზე ორიენტირებული ადგილობრივი სერვისების განვითარების ხელშემწყობ მუნიციპალიტეტებს შორის გამოცდილების გაზიარებას შეუწყოს ხელი. საქსტატთან თანამშრომლობით შესაძლებელი გახდა საჯარო წვდომა მუნიციპალურ სტატისტიკაზე ონლაინპორტალის მეშვეობით, რაც მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის დისკუსიებს აძლიერებს ადგილობრივ დონეზე.

საქართველოში ყველა ადამიანის უფლებათა დაცვის ხელშეწყობის მიზნით, გაერომ მხარი დაუჭირა „ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის“ (2022-2030 წლებისთვის) და მასთან დაკავშირებული „სამოქმედო გეგმის“ მიღებას, რაც ხელს უწყობს დიალოგს სახელმწიფო ინსტიტუტებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის. გაერო ასევე ადვოკატირებას უწევდა ადამიანის უფლებებისადმი ყოვლისმომცველ მიდგომას და ყველა ისეთი მოწყვლადი ჯგუფის ჩართვას სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში, როგორიცაა ხანდაზმული პირები, ლგბტიქ+ პირები და უსახლკარო ადამიანები. გაეროს მხარდაჭერით, სამოქმედო გეგმაში შევიდა ღონისძიებები ხანდაზმულთა ადამიანის უფლებების დაცვის, ბავშვთა ასაკში ქორწინების აღმოფხვრის და საცხოვრებლის უფლების დაცვის მიზნით.

მაღალი დონის დიალოგებმა, რომელშიც 370-ზე მეტი სახელმწიფო და არასახელმწიფო წარმომადგენელი მონაწილეობდა, ხელი შეუწყო ცოდნის დაგროვებას და ეროვნული პოლიტიკების განხორციელებას შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში. გაერომ ასევე უზრუნველყო დახმარება საქართველოს პარლამენტის წევრებისთვის პუბლიკაციის შემუშავებაში, რომელიც ლგბტიქ+ პირთა ადამიანის უფლებების უფრო კარგად გაგებას და მხარდაჭერას ისახავს მიზნად.

გაეროს დახმარებით მომზადდა და მიღებულ იქნა კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, რითაც ეროვნული რეგულაციები შეესატყვისა ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ზოგად რეგულაციას“ და ძლიერი მექანიზმებიც შეიქმნა მონაცემთა კონფიდენციალურობის დასაცავად.

გაეროსა და საქართველოს სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს შორის თანამშრომლობის შედეგად სახელმძღვანელო მითითებები შემუშავდა წამების და არასათანადო მოპყრობის დანაშაულების კლასიფიკაციისა და ეფექტური გამოძიებისთვის. კონკრეტული სახელმძღვანელო მითითებები დამტკიცდა, რომლებიც ეხება ხელბორკილების მჭიდროდ დადებასთან დაკავშირებულ საჩივრებს, რაც ანგარიშვალდებულებას ამაღლებს და უფრო ჰუმანურ მიდგომას უზრუნველყოფს სამართალდამცავი ორგანოებისთვის.

გაეროს მხარდაჭერით, იურიდიული დახმარების სამსახურმა გახსნა საქართველოში პირველი მობილური საკონსულტაციო ცენტრი, რომელმაც იურიდიული დახმარება გაუწია შორეული სოფლებისა და რთულად მისადგომი რეგიონების მოსახლეობას, ვისთვისაც 115 ინდივიდუალური კონსულტაცია გამართა. გარდა ამისა, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებმა ტრენინგები გაიარეს და სერტიფიცირებული მედიატორები გახდნენ, რაც ამ თემებისთვის მედიაციის გამოყენებას უწყობს ხელს

12,500 -ზე

მეტი ვიზიტორი მოიზიდა ხუთმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სტატისტიკის პორტალმა, რომლებიც ამოქმედდა საქსტატის მხარდაჭერით

ფოტო: UNDP

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის მიზნით, გაერომ სახელმწიფო უწყებების და მუნიციპალური ხელისუფლების შესაძლებლობები აამაღლა და მათ სამოქმედო გეგმების შემუშავებაში დაეხმარა, ადამიანის უფლებების სტანდარტების ინტეგრირებისთვის შშმ პირებისთვის ადგილობრივ დონეზე სერვისების მიწოდებაში.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიღწევა იყო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანა გაეროს ტექნიკური მხარდაჭერით, რის შედეგად ამოღებული იქნა დისკრიმინაციული დებულებები შშმ მოწმეების დაკითხვის თაობაზე, გაეროს შშმ პირთა უფლებების დაცვის კომიტეტის რეკომენდაციების შესაბამისად.

გაეროს თანამშრომლობამ სპეციალურ საგამოძიებო სამსახურთან შედეგად მოიტანა სახელმძღვანელო მითითებებისა და სტანდარტების შემუშავება შშმ მოწმეების, დაზარალებულების და ბრალდებულების ეფექტურად ჩართვის თაობაზე საგამოძიებო პროცესში.

გაერო ეთნიკურ უმცირესობებს დაეხმარა იურიდიული დახმარების და მედიაციის სერვისებზე წვდომის ამაღლებაში. გარდა ამისა, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებმა ტრენინგები გაიარეს და სერტიფიცირებული მედიატორები გახდნენ, რაც ამ თემებისთვის მედიაციის გამოყენებას უწყობს ხელს.

ღირსეული შრომისა და შრომითი უფლებების დღის წესრიგის მხრივ, 2020 წლის შრომის კანონმდებლობის რეფორმის განხორციელების მიმოხილვის შედეგად მიმდინარე პროგრესი გაანალიზდა. სამმხრივი სოციალური პარტნიორობის კომისიის 2023-2025 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავების ხელშეწყობის გზით სოციალური დიალოგი გაძლიერდა და სამმხრივი თანამშრომლობა აჭარასა და იმერეთშიც გააქტიურდა ადგილობრივ დონეზე.

საქართველოში შრომითი დავების მედიაციის სისტემის შეფასების შედეგად, შესაძლებელი გახდა ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა შრომითი დავების მედიაციის არსებულ მექანიზმებში და რეკომენდაციების შემუშავება ინსტიტუციური გაუმჯობესებისთვის.

შრომის ინსპექციის შესაძლებლობების ამაღლების მიზნით, შრომის საკითხებთან დაკავშირებით საქართველოს უწყებების სასწავლო ვიზიტი მოეწყო ევროპის შრომის სააგენტოში ბრატისლავაში, სლოვაკეთი. გაეროს დახმარებით, „შრომის ინსპექციის სამსახურის 2022 წლის საქმიანობის ანგარიში“ ინგლისურ ენაზე ითარგმნა და ბეჭდური სახით გავრცელდა, დაინტერესებულ მხარეებთან სპეციალურად ამ მიზნით გამართულ შეხვედრაზე.

გაეროს მხარდაჭერით, „დენიშ ინდასტრიზ“ (Danish Industries) მიერ საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის შეფასება განხორციელდა, ხოლო შესაბამისი დასკვნების საფუძველზე შესაძლო გზები გამოიკვეთა ასოციაციის მმართველობის ადაპტირებისთვის ახალ გამოწვევებსა და შესაძლებლობებთან.

გაერომ საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის წევრები გადაამზადა დასაქმების ადგილზე ძალადობისა და შევიწროების საკითხებში, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 190-ე კონვენციის შესაბამისად. ტრენინგის თემა იყო ასევე შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ძალადობისა და შევიწროების საკითხებზე შემუშავებული დამსაქმებელთა სახელმძღვანელოს გამოყენება.

ფოტო: UNICEF

1,000 -ზე

1,000-ზე მეტი ადამიანი დაესწრო გაეროსთან თანამშრომლობით სახალხო დამცველის მიერ გამართულ სამართლებრივ კონსულტაციებს და საინფორმაციო შეხვედრებს

428,000 -ზე

მეტი მშობელთან, სპეციალისტსა და სათემო ლიდერთან იმუშავა ბავშვთა მიმართ ძალადობის გარშემო არსებული სოციალური ნორმების განხილვის სფეროში

შრომის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა წარმოჩენილი იქნა საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციასთან ერთად თბილისში გამართულ მაღალი დონის ღონისძიებაზე, რომლის თემაც იყო შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 81-ე და 190-ე კონვენციების და 2004 წლის იძულებითი შრომის შესახებ კონვენციის ოქმის რატიფიცირების პრაქტიკული შედეგები დამსაქმებლებისთვის.

გაერომ აქტიური წვლილი შეიტანა ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების რეფორმის განხორციელებაში, მისი შემდეგი ეტაპისთვის ყოვლისმომცველი პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავებით, ასევე, მართლმსაჯულებისა და ბავშვთა დაცვის სპეციალისტების შესაძლებლობების ამაღლებით. გაერომ „არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრის“ სპეციალისტების შესაძლებლობები გააძლიერა, რა დროსაც აქცენტი გაკეთდა ხარისხის კონტროლის და მონიტორინგის სისტემებზე, შეფასების ინსტრუმენტების განახლებასა და პოზიტიური მშობლობის პროგრამების გაძლიერებაზე. მსგავსი ძალისხმევა იყო მიმართული დანაშაულის პრევენციისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიმართ, რაშიც შედიოდა ტრენინგები განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული პროფესიონალებისთვის.

გაერო აცნობიერებს რა ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის ფსიქოლოგიურ-სოციალური მომსახურების ცენტრის (ბარნაჰუსის) ეფექტურობას, ხელს უწყობს ძირითადი დაინტერესებული მხარეების ძალისხმევას ამ სერვისის ქვეყნის მასშტაბით დასანერგად, რისთვისაც დასავლეთ საქართველოში ახალი ცენტრის გახსნის თაობაზე გეგმები შეიმუშავა. გარდა ამისა, გაეროს მხარდაჭერით სახელმწიფო ზრუნვის სააგენტომ ბავშვთა დახმარების ცხელი ხაზის ,,111-ის“ ვებგვერდი შექმნა, რომელიც ამ სერვისს უფრო მისაწვდომს ხდის სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებისთვის.

ბავშვის უფლებათა კოდექსის შესაბამისად, გაერომ ბავშვის ოჯახში აღზრდისა და ცხოვრების უფლების მომწესრიგებელი ჩარჩო გააანალიზა, სახელმძღვანელო შეიმუშავა მოსამართლეებისთვის, ადვოკატებისა და სოციალური მუშაკებისთვის, შემდეგ კი მულტიდისციპლინური სამუშაო შეხვედრები გამართა 105 სპეციალისტისთვის, ინსტიტუციონალიზაციის თავიდან აცილებისა და ოჯახების მხარდაჭერის მიზნით.

პოზიტიური მშობლობა პრიორიტეტული მიმართულება გახდა ბიზნეს სექტორთან თანამშრომლობისთვის, აღზრდის დადებითი მეთოდების პოპულარიზაციის მიზნით.

მიგრაციისა და საზღვრის მართვის პოლიტიკის გაძლიერების კუთხით, საქართველოსთვის გაწეული დახმარება მიმართული იყო ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობის მხარდაჭერაზე, უწყებათაშორისი თანამშრომლობის ხელშეწყობაზე მიგრანტების უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად, მოწყვლადი მიგრანტების დახმარებასა და კანონიერი მიგრაციის არხების ამოქმედებაზე. ადგილობრივ დონეზე მიგრაციის მმართველობის ინდიკატორების დანერგვით ემიგრაციასა და დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციასთან დაკავშირებული გამოწვევები გადაიჭრა, სადაც ხაზი გაესვა მიზნობრივი სერვისებისა და საზოგადოების ჩართულობის მნიშვნელობას.

გაეროს თანამშრომლობამ ჯანდაცვის სამინისტროსთან შესაძლებელი გახადა ყოვლისმომცველი ინტეგრაციის პოლიტიკის პროექტის მომზადება, რომელიც ორიენტირებულია ლტოლვილთა ინიციატივების მხარდაჭერაზე მუნიციპალიტეტების ჩართულობით. ბიზნესგრანტებმა და სასწავლო პროგრამებმა ეკონომიკური ჩართულობის დამატებითი შესაძლებლობები შექმნა უკრაინის მოქალაქეებისთვის საქართველოში.

გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა საქართველოში გაეროს ერთობლივი მხარდაჭერის მთავარ პრიორიტეტად რჩება. საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულმა ასოციაციამ გენდერული თანასწორობის 2024-2025 წლების მეორე სამოქმედო გეგმა დაამტკიცა, რომელშიც პრიორიტეტებად არის დასახული მუნიციპალური სამოქმედო გეგმების შექმნა, ადგილობრივ დონეზე სექსუალურ შევიწროებასთან ბრძოლა და გენდერული მონაცემების უკეთესად

ფოტო: UNFPA

ფოტო: UNDP

ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შესაძლებლობები ამაღლდა, რათა უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და ბავშვების, ოჯახში ძალადობის და სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალების და ლგბტიქ+ ქალების წარმომადგენლობა საქართველოს საერთო სასამართლოებსა და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში

SOCIAL MEDIA 265K

საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელთან თანამშრომლობით, გაერომ დისკრიმინაციული სოციალური ნორმების დაძლევაზე მიმართული კონტენტი გაავრცელა, რომელიც სოციალურ მედიაში 265,000-ზე მეტმა ადამიანმა ნახა

შეგროვება. ამ ძალისხმევის შედეგად, 26 მუნიციპალიტეტი „ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ ევროპული ქარტიის“ მხარე გახდა.

ფინანსთა სამინისტროსთან თანამშრომლობით, გაერომ გენდერული ინდექსირების მეთოდოლოგიის წინასწარი ვერსია შეიმუშავა და საქართველოს ელექტრონული ბიუჯეტის სისტემაში მისი ჩართვისთვის 46 საჯარო მოხელე გადაამზადა. აღნიშნული ინიციატივა ხელს შეუწყობს გენდერული პერსპექტივების სისტემურად გათვალისწინებას საბიუჯეტო ასიგნებების და ფინანსური დაგეგმვის დროს.

გაეროს ტექნიკური დახმარებით, სახალხო დამცველმა მონიტორინგის ანგარიშები მოამზადა შემდეგ საკითხებზე: გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების ეფექტურობა, საქართველოს მიერ გენდერული მეინსტრიმინგის მიმართ აღებული ვალდებულებები და მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის პოლიტიკა, ქალებისა და გოგოების სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლებების მონიტორინგი.

საჯარო სამსახურის ბიურომ გაეროს დახმარება მიიღო „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის გენდერული ზეგავლენის შეფასების პროცესში, სადაც შემოთავაზებული იყო პოლიტიკის ცვლილებები ხელმძღვანელ თანამდებობებზე ქალთა წარმოჩენის ხელშესაწყობად და გენდერის ინტეგრირებისთვის საჯარო სამსახურის განხორციელებისას. აღსანიშნავია, რომ გაეროს მხარდაჭერით, აღნიშნული ბიურო პირველი საჯარო უწყება გახდა, რომელმაც ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის სახელმძღვანელო ინსტრუქცია დაამტკიცა 2023 წელს.

2023 წლის მარტში საქართველოს პარლამენტმა, გაეროს დახმარებით, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პირველი სახელმწიფო კონცეფცია მიიღო, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯია, რამდენადაც ქვეყანამ თავისი ხედვა და პრიორიტეტები წარმოაჩინა გენდერულად ინკლუზიური ეკონომიკისთვის.

„2023-2026 წწ სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგიის“ პრიორიტეტების შესაბამისად, გაეროს მხარდაჭერით, ახალგაზრდულმა სააგენტომ 2024 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა მოამზადა, ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს წარმომადგენლების აქტიური მონაწილეობით.

ფორუმების, სამსახურებრივ გარემოში ქოუჩინგის, მაღალი დონის ადვოკატირების და ახალგაზრდების ჩართულობის გზით, გაერომ 900-ზე მეტი პოლიტიკოსი და გადაწყვეტილების მიმღები პირი, ასევე 300-ზე მეტი ახალგაზრდა ჩართო უფრო ინკლუზიური პოლიტიკური გარემოს გაძლიერებასა და ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ხელშეწყობისთვის.

გაერომ ასევე საქსტატთანაც ითანამშრომლა სტატისტიკური პუბლიკაციის „ქალი და კაცი საქართველოში“ 2023 წლის გამოცემის მომზადებისთვის, რომელშიც ასევე შესულია „დროის გამოყენების გამოკვლევის“ შედეგები და მონაცემები აუნაზღაურებელ საოჯახო და ზრუნვის საქმიანობაზე. გარდა ამისა, გაერო სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან თანამშრომლობდა „ქვეყნის გენდერული თანასწორობის პროფილის“ მესამე გამოცემის მოსამზადებლად, რომელიც მხარს უჭერდა მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავებას და პროგრამირებას გენდერული თანასწორობისთვის. გარდა ამისა, გაერომ საქსტატთან ითანამშრომლა ყოვლისმომცველი ვებპორტალის ამოქმედებისთვის, სადაც თავმოყრილია ბავშვების და მოზარდების სტატისტიკა, გაზრდილია წვდომა მონაცემებზე, ბავშვებსა და ახალგაზრდებთან დაკავშირებული ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად.

გაერო ასევე ურყევად განაგრძობს საქმიანობას გენდერული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისთვის, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების ხელშეწყობისა და დისკრიმინაციული სოციალური ნორმების შეცვლისთვის. „ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ახალი ეროვნული კვლევის“ დასკვნები გამოქვეყნდა, სადაც მტკიცებულებებია წარმოდგენილი აქტუალური პოლიტიკების შემდგომი გაუმჯობესებისთვის.

გაერომ ადრეულ/ბავშვობის ასაკში ქორწინების საკითხზეც იმუშავა, რისთვისაც სტანდარტული საოპერაციო პროცედურები შეიმუშავა სოციალური მუშაკებისთვის, ცნობიერების ამაღლების კამპანიები გამართა და ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან ითანამშრომლა.

გაერომ ასევე ყურადღება გაამახვილა გენდერული თანასწორობის ცნებების ინტეგრირებაზე მიგრაციის და საზღვრის მართვის პოლიტიკაში, რითაც ხაზი გაუსვა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია დაცვის სერვისებზე წვდომის გაუმჯობესება მოწყვლადი ქალებისა და გოგოებისთვის, განსაკუთრებით კი ადამიანებით ვაჭრობის და არალეგალური მიგრაციის შემთხვევებში. გარკვეული ძალისხმევა იქნა გამოჩენილი ქალთა უფლებების დასაცავად პოლიციის მუშაობაში, გენდერულად მგრძნობიარე ინდიკატორების გამოყენებით, მონიტორინგის და შეფასების გაუმჯობესების გზით.

და ბოლოს, გაერომ ტექნიკური დახმარება და სხვა სახის მხარდაჭერა გაუწია მთავრობას მოსახლეობის დაბერების საკითხზე, დემოგრაფიული მდგრადობის ასამაღლებლად და 2024 წლის მოსახლეობის აღწერისთვის მოსამზადებლად.

სიმულაციურ თამაშის „იყავი მის ადგილას“ მონაწილეები, მარნეული

სამაგალითო ისტორია

ძალადობის მსხვერპლის გზა სიმულაციური თამაშით

სკოლა „დავითიანის“ სამოქალაქო განათლების მასწავლებელი ანა ასლანიშვილი ერთ-ერთია იმ 1,463 მონაწილეს შორის, რომლებიც სიმულაციურ თამაშში „იყავი მის ადგილას“ ჩაერთნენ და ძალადობის მსხვერპლი ქალების გზა თავად გაიარეს.

„იყავი მის ადგილას“ 8 სცენარისგან შედგება, თითოეულის დასაწყისი წინასწარაა ცნობილი, დასასრული კი მთლიანად მონაწილეებსა და მათ გადაწყვეტილებებზეა დამოკიდებული. ისინი ნაბიჯ-ნაბიჯ, პერსონაჟთან ერთად, ცდილობენ ძალადობის გამომწვევი მიზეზების გამოვლენას და შესაძლო გამოსავლის მოძიებას. პირდაპირ მსხვერპლის ადგილზე ყოფნის გამოცდილებით, მონაწილეებს შორის ემპათია დამკვიდრდა და ასევე ნაჩვენები იქნა, რომ ყველას შეუძლია რაღაც გააკეთოს ძალადობის შეჩერებისთვის.

„სიმულაციურ თამაშში მონაწილეობამ მიმახვედრა, რამდენად ეხმარება ის ადამიანებს, უკეთ გაითავისონ მსხვერპლების მდგომარეობა და მეტად მიიტანონ გულთან მათი გასაჭირი. „იყავი მის ადგილას“ ცნობიერების ამაღლებისთვის საუკეთესო საშუალებაა“, - აღნიშნა ანამ სიმულაციური თამაშის დასრულების შემდეგ.

უკვე ორი წელია (2021-2023), რაც გაეროს ქალთა ორგანიზაციის საქართველოს ოფისი და გაეროს მოსახლეობის ფონდი ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტს „ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობის წინააღმდეგ საქართველოში“ ახორციელებს ქალთა საინფორმაციო ცენტრთან პარტნიორობით, რომლის ფარგლებშიც სხვადასხვა ჯგუფებთან იმუშავეს საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ცნობიერების ასამაღლებლად, მათ შორის: საჯარო მოხელეებთან, მასწავლებლებთან, პოლიციელებთან, ადგილობრივი მედიის წარმომადგენლებთან, სტუდენტებსა და მეწარმეებთან. სიმულაციური თამაში „იყავი მის ადგილას“ ქვემო ქართლისა და გურიის ცხრა მუნიციპალიტეტში 80-ზე მეტჯერ ჩატარდა.

ფოტო: ნიობა ქიძე/UNICEF

UNITED NATIONS
GEORGIA

მედეგი 2

გაეროს მხრიდან მონაწილე სააგენტოები:

World Health Organization European Region · UNITED NATIONS HUMAN RIGHTS OFFICE OF THE HIGH COMMISSIONER · UN WOMEN · UNFPA · UNDP · UNODC United Nations Office on Drugs and Crime · unicef for every child · UNOPS · IOM UN MIGRATION

შედეგი 2

2025 წლისთვის საქართველოში ყველას ექნება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, სამართლიანი და ინკლუზიური წვდომა ხარისხიან, სტაბილურ და გენდერულ თანასწორობაზე დაფუძნებულ სერვისებზე

	შესაბამისი მდგრადი განვითარების მიზნები	დანახარჯები 2023 წელს
შედეგი 2.1: გაუმჯობესებული პოლიტიკისა და პროგრამების განხორციელების ეროვნული შესაძლებლობები, რაც უზრუნველყოფს ჯანმრთელობისა და კვების ხარისხიან მომსახურებებზე ყველასთვის თანაბარ ხელმისაწვდომობას, ასევე ყველა ადამიანის რეპროდუქციული უფლებების განხორციელებას, განსაკუთრებით მათი, ვინც განვითარების პროცესებს მიღმაა დარჩენილი	3 GOOD HEALTH AND WELL-BEING, 5 GENDER EQUALITY, 10 REDUCED INEQUALITIES	$ 6.932.204
შედეგი 2.2: გაუმჯობესებული ეროვნული შესაძლებლობები იმ პოლიტიკისა და პროგრამების განხორციელებისთვის, რომლებიც უზრუნველყოფენ ინკლუზიურ და თანაბარ ხელმისაწვდომობას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის ხარისხიან საგანმანათლებლო პროგრამებზე	4 QUALITY EDUCATION, 5 GENDER EQUALITY, 10 REDUCED INEQUALITIES	$ 771.859
შედეგი 2.3: გაუმჯობესებული ეროვნული კანონმდებლობა, პოლიტიკა, პროგრამები და შესაძლებლობები ყველა ადამიანის, განსაკუთრებით ყველაზე მოწყვლადი და მარგინალური ჯგუფების, დისკრიმინაციისგან დასაცავად; უზრუნველყოფილია ხარისხიან სოციალურ მომსახურებებზე თანაბარი ხელმისაწვდომობა	1 NO POVERTY, 5 GENDER EQUALITY, 10 REDUCED INEQUALITIES	$ 2.128.276

$ 9.832.339

მთლიანი დანახარჯები

გაეროს მხრიდან მონაწილე სააგენტოები:

World Health Organization European Region · UNITED NATIONS HUMAN RIGHTS OFFICE OF THE HIGH COMMISSIONER · UN WOMEN · UNFPA · UNDP · UNODC United Nations Office on Drugs and Crime · unicef for every child · UNOPS · IOM UN MIGRATION

ფოტო: გურამ მურადოვი/WHO

გაერო განაგრძობდა გაუმჯობესებული და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, ადამიანებზე ორიენტირებული ჯანდაცვის სერვისების მიწოდებას საქართველოში. გაეროს ტექნიკური მხარდაჭერით დახმარება გაეწია პირველადი ჯანდაცვის რეფორმის ფარგლებში მიმდინარე პროცესს და შესაძლებელი გახდა ციფრული ჯანმრთელობის გადაწყვეტების დანერგვა, ტელემედიცინის სერვისების ჩათვლით ისეთ სფეროებში, როგორიცაა რეპროდუქციული ჯანმრთელობა, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა და ქრონიკული დაავადებების ადრეული გამოვლენა და მართვა.

გაეროს ტექნიკური მხარდაჭერით, ჯანდაცვის კანონმდებლობა ახლა უფრო უკეთ შეესაბამება გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციას, რათა დაცული იქნას თანასწორობის და დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპები და გაუმჯობესდეს წვდომა სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისებზე შშმ ქალებისა და ახალგაზრდებისთვის.

გლობალურ დონეზე საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში ერთ-ერთი ახალი გამოწვევის დასაძლევად, გაერომ მხარი დაუჭირა „ანტიმიკრობული რეზისტენტობის საწინააღმდეგო 2024-2030 წლების ეროვნული სტრატეგიის“ და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმის შემუშავებას, რაც მთავრობის მიერ იქნა დამტკიცებული.

გაეროს ტექნიკური დახმარებით გადაიხედა პალიატიური მზრუნველობა და პოლიტიკის დიალოგი დაიწყო „დამხმარე ტექნოლოგიებზე“ წვდომის ასამაღლებლად პირველადი ჯანდაცვის დონეზე.

28,300 -ზე

მეტი ვიზიტი დაიჯავშნა საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგისთვის იონლაინ რეგისტრაციის დანერგვის შედეგად

300

ჯანდაცვის სპეციალისტი დაესწრო ინტერპერსონალური კომუნიკაციის კურსს იმუნიზაციის საკითხებში

გაეროს დახმარებით, ჯანმრთელობის დაფინანსების პროგრესის მატრიცა შემუშავდა, რომლის მიზანია ჯანდაცვის დაფინანსების პოლიტიკაში გატარებული ცვლილებების ასახვა და რეალურ დროში ინფორმაციის მიწოდება პოლიტიკის შემმუშავებელი პირებისთვის, საყოველთაო ჯანდაცვის მხარდასაჭერად. შესრულებული შეფასების საფუძველზე, გაერომ თავისი ექსპერტიზა გააზიარა ადამიანური რესურსების მმართველობის და დაგეგმვის შესაძლებლობების ასამაღლებლად ჯანდაცვის სფეროში.

გაეროს დახმარებით ასევე ამაღლდა რეპროდუქციული ჯანმრთელობის, დედათა ჯანმრთელობის და ბავშვზე ზრუნვის სერვისების ხარისხი, ინფორმაციის მართვის ინოვაციური სისტემების დახვეწით, როგორიცაა დაბადების რეესტრი და კიბოს სკრინინგის რეესტრი.

ტექნიკური დახმარება იქნა გაწეული „არაგადამდები დაავადებების პოლიტიკის“ განხორციელების მხარდასაჭერად, მათ შორის თამბაქოს კონტროლის, საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციისა და სკრინინგის პროგრამების გასაძლიერებლად, ტუბერკულოზის, აივ/შიდსის და ვირუსული ჰეპატიტის ეპიდემიების დასასრულებლად. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ეროვნული შესაძლებლობების შემდგომ გაძლიერებას დედიდან ბავშვზე აივ ინფექციის, სიფილისის და B ჰეპატიტის გადაცემის სამმაგ ელიმინაციას. პოლიტიკის მხარდაჭერითა და ადვოკატირებით, გაერომ წვლილი შეიტანა ინტეგრირებულ სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და აივ-ის სერვისებზე წვდომის და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაში ძირითადი პოპულაციებისთვის, 2023-2026 წწ აივ-შიდსის ეროვნული სტრატეგიული გეგმის პრიორიტეტების შესაბამისად.

იმუნიზაციის ეროვნული პროგრამის გაძლიერებისთვის რესურსები გამოიყო, რაც ასევე მოიცავს იმუნიზაციის ლოგისტიკური სისტემის გაუმჯობესებას და „იმუნიზაციის ელექტრონული რეესტრის“ გეგმის შემუშავებას.

გაერომ, აკადემიურ წრეებსა და პროფესიულ ასოციაციებთან პარტნიორობით, ინტერპერსონალური კომუნიკაციის კურსი შეიმუშავა იმუნიზაციის საკითხებში, რომელიც აკრედიტებული და ინტეგრირებული იყო უწყვეტი სამედიცინო განათლების ციკლში.

ფოტო: WHO

ფოტო: WHO

ტექნიკური დახმარება გაწეული იქნა მედიკამენტებზე „რეფერენტული ფასების მექანიზმის“ გასაძლიერებლად, „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის განახლებისთვის, ხარისხიან წამლებზე წვდომის გაუმჯობესების მიზნით.

გაეროს მხარდაჭერით 2022 წელს განხორციელებული „ფსიქიკური ჯანმრთელობის კვლევის“ შედეგებმა მყარი მტკიცებულება წარმოადგინა გადაწყვეტილების მიმღები პირების მობილიზებისთვის და „ბავშვების, მოზარდების და ახალგაზრდების ფსიქიკური ჯანმრთელობის რეფორმის სტრატეგიის“ შემუშავების დასაწყებად. მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ოთხი გაიდლაინი შემუშავდა, რომლებშიც ასევე მოცემულია პაციენტების კლინიკური გაიდლაინი ფსიქიკურ დაავადებებთან დაკავშირებით.

გაეროს დახმარებით გაძლიერდა ჯანდაცვის სისტემების რეაგირება გენდერულ ძალადობასა და ქალთა მიმართ ძალადობაზე, რაც შესაძლებელი გახდა ჯანდაცვის მუშაკებისთვის პროტოკოლის შემუშავებით და საპილოტე ღონისძიების გაფართოებით სამეგრელოს რეგიონში. საერთო ჯამში, გაეროს მხარდაჭერით, პირველადი ჯანდაცვის სპეციალისტების თითქმის 19% გადამზადდა აღნიშნული პროტოკოლის გამოყენებაში საქართველოს მასშტაბით.

ანტენატალური ზრუნვის რეგიონალიზაცია გაგრძელდა და კიდევ 70-ზე მეტი დაწესებულება შეფასდა, რის შედეგად ამ პროცესმა უკვე ანტენატალური ზრუნვის ყველა დაწესებულება მოიცვა ქვეყნის მასშტაბით. გაერომ ასევე წვლილი შეიტანა კლინიკური პროტოკოლების შემუშავებაში გადაუდებელი სამეანო დახმარების ხარისხის გასაუმჯობესებლად. კლინიკური აუდიტის პროცესის დანერგვამ პერინატალური ზრუნვის ცხრა დაწესებულებაში შედეგად მოიტანა სერვისების უკეთესად ორგანიზება, ესენციალურ აღჭურვილობასა და მასალებზე ხელმისაწვდომობის ამაღლება და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

200
ამბულატორიას მიეწოდა შესაბამისი სამედიცინო აღჭურვილობა საქართველოს მასშტაბით

400
ამბულატორიის ექიმი და სამედიცინო პერსონალი გადამზადდა ტელემედიცინის შესაბამისი ტექნოლოგიის გამოყენებაში

1120 -მა
ბავშვმა (592 გოგო და 528 ბიჭი) ისარგებლა ტელემედიცინის ბავშვთა განვითარების დისტანციური სერვისებით, რომელიც პილოტის სახით 50 სოფლის კლინიკაში გამოიცადა

გარდა ამისა, ტელემედიცინის ეროვნული სტანდარტები, გაიდლაინები და კლინიკური პროტოკოლები შემუშავდა, რაც ქართულ სამედიცინო დაწესებულებებს საშუალებას მისცემს, რომ მონიტორინგი აწარმოონ და გაზომონ როგორც შედეგები, ასევე პაციენტების კმაყოფილების დონე.

ანტენატალურ ზრუნვაში ტელემედიცინის მიდგომები სახელმწიფო პროგრამაში აისახა და მათი განხორციელება მხარდაჭერილი იყო ონლაინ ტრენინგის მოდულით, რომელიც სამედიცინო უნივერსიტეტის უწყვეტი სამედიცინო განათლების სისტემაშია ინტეგრირებული.

განათლების სფეროში გაერომ ეროვნული შესაძლებლობების გაუმჯობესების მხარდაჭერა განაგრძო ინკლუზიური და სამართლიანი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად ხარისხიან საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტებს აკმაყოფილებს.

ადრეულ ასაკში ბავშვის განათლება და ზრუნვა გაუმჯობესდა, რაც შესაძლებელი გახდა ცენტრალური და მუნიციპალური მთავრობების დახმარებით „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ კანონის განხორციელებაში, ასევე პარლამენტის მხარდაჭერით სკოლამდელი აღზრდის ინფრასტრუქტურისა და ადამიანური რესურსების საჭიროებების შესახებ მტკიცებულებების მომზადებაში.

დახმარება გაეწია ოთხ მუნიციპალიტეტს სტრატეგიის განხორციელებაში იმ ბავშვების გამოვლენისა და ჩარიცხვის მიზნით, ვისაც სკოლამდელ განათლებაზე ხელი არ მიუწვდებოდა.

პარლამენტმა „ზოგადი განათლების შესახებ კანონში“ შესატანი საკანონმდებლო ცვლილებები დაამტკიცა ინკლუზიური განათლების მხარდაჭერის სისტემის ახალი მოდელის ფორმალიზების მიზნით, რომელიც გაეროს ტექნიკური მხარდაჭერით შემუშავდა. პარტნიორ უნივერსიტეტებსა და სკოლებს შორის თანამშრომლობის შედეგად, სკოლის ბაზაზე ოთხი ინკლუზიური განათლების ცენტრი დაარსდა, რომელიც ინკლუზიური განათლების ინიციატივების განხორციელებისთვის საჭირო რესურსების ჰაბს წარმოადგენს მასწავლებლებისა და სტუდენტებისთვის.

განათლების სისტემის რეფორმები კიდევ უფრო აქტიურად განხორციელდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და შერჩეული მუნიციპალიტეტებისთვის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და შშმ ბავშვებისთვის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისთვის საჭირო ტექნიკური მხარდაჭერის გაწევით. ინოვაციური საპილოტე მიდგომები ათ საჯარო სკოლაში განხორციელდა, რის შედეგად 242 განათლების მუშაკის კვალიფიკაცია ამაღლდა, სკოლის ბაზაზე მშობელთა კლუბები შეიქმნა და ზოგადი განათლების საფეხურიდან პროფესიულ ან უმაღლეს განათლებაში გადასვლის პრაქტიკები გაუმჯობესდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და შშმ ბავშვებისთვის.

გაერო ადვოკატირებას უწევდა „დაწევისა და დაჩქარებული სწავლების კურიკულუმის“ დამტკიცებას, როგორც ეროვნული სასწავლო გეგმის ნაწილს, რომელიც ხელს უწყობს სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების ინტეგრაციას ძირითად განათლებაში. გაერომ, საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახურთან თანამშრომლობით, სკოლებში ინკლუზიის და უსაფრთხოების დონე აამაღლა სოციალური მუშაკების, მულტიდისციპლინური გუნდების და ფსიქოლოგების შესაძლებლობების გაზრდით მოსწავლეთა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, ასევე, შვიდ საჯარო სკოლაში აღდგენითი პრაქტიკის დანერგვით და მოდელის გაფართოებისთვის საჭირო გეგმის შემუშავებით.

120

ინკლუზიური განათლების მხარდაჭერის სისტემის მრჩეველი გადამზადდა

25

პროფესორი 7 სახელმწიფო უნივერსიტეტში ინკლუზიური განათლების საკითხებში გადამზადდა, რომლებმაც შემდეგ თავიანთი გამოცდილება 105 საჯარო სკოლის 315-ზე მეტ მასწავლებელს გაუზიარეს

გაერომ ასევე განაგრძო ევროკავშირის მიერ დაფინანსებული აღმოსავლეთ პარტნიორობის ევროპული სკოლის პროგრამის განხორციელება, რის შედეგადაც მოსწავლეების რაოდენობა გაიზარდა.

გაეროს დახმარებით, ჯანმრთელობისა და პირადი უსაფრთხოების თემები კიდევ უფრო მეტად იქნა ინტეგრირებული (იუნესკოს სტანდარტების საფუძველზე) ფორმალურ საგანმანათლებლო სისტემაში, მათ შორის დაწყებითი განათლების საფეხურზე სკოლის ექიმის საათის საპილოტე პროგრამის გაფართოებით, განათლების მუშაკთა შესაძლებლობის ამაღლებით და საზოგადოების ცნობიერების გაზრდით ამგვარი განათლების მნიშვნელობის შესახებ.

მომსახურების უფრო ინკლუზიურ მოდელებზე გადასვლის დასაჩქარებლად, გაერომ მხარი დაუჭირა მთავრობას, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კანონით გათვალისწინებული ვალდებულებები შეესრულებინა პოლიტიკის დოკუმენტების გაფართოებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, მათ შორის ქალების უფლებების და საჭიროებების ინტეგრირებით სოციალურ სერვისებში და შშმ პირთა მონაწილეობის გაძლიერებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

მთავრობამ 3-წლიანი გეგმა დაამტკიცა, რათა შეზღუდული შესაძლებლობის შეფასების და სტატუსის განსაზღვრის სისტემა გარდაქმნას გაეროს მხარდაჭერით განხორციელებული საპილოტე პროგრამის შედეგების საფუძველზე. ჯანდაცვის პროვაიდერებისთვის შემუშავებული კომუნიკაციის სტანდარტები განახლდა, გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციაში გათვალისწინებული ადამიანის უფლებების სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით.

გაერომ ხელი შეუწყო ადამიანის უფლებების სტანდარტების და შეზღუდული შესაძლებლობის საკითხების მიმართ ინკლუზიური ბიუჯეტირების ინტეგრირებას ადგილობრივ თვითმმართველობაში, ასევე შშმ პირთა უფლებების სამოქმედო გეგმების შემუშავებას ადგილობრივ დონეზე. გაეროს ტექნიკური დახმარებით, ადგილობრივ დონეზე შშმ პირთა პირადი ასისტენტის სერვისის გლობალური საუკეთესო პრაქტიკა დაინერგა, დამოუკიდებელი ცხოვრებისა და ინკლუზიის მხარდასაჭერად. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა, მათ შორის ლტოლვილთა მიმართ ძალადობის დაძლევის სისტემის გასაძლიერებლად, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოსთან ერთად სტანდარტული საოპერაციო

ფოტო: ლელი ბლაგონრავოვა/UNDP

64 მუნიციპალიტეტის 327 თანამშრომლის შესაძლებლობა გაიზარდა ხარისხიანი და ინკლუზიური სკოლამდელი განათლების მართვის და ავტორიზაციის პროცესის, ასევე, ნაკლებად პრივილეგირებული ბავშვებისთვის სკოლამდელ განათლებაზე წვდომის გაუმჯობესების მხრივ

პროცედურები შემუშავდა და ამოქმედდა. ამას გარდა, 40 სოციალური მუშაკი გადამზადდა შესაბამისი შემთხვევების სათანადოდ მართვის მიზნით.

გაეროს მხარდაჭერით, მთავრობამ კიდევ უფრო გააძლიერა ეროვნული და ადგილობრივი შესაძლებლობები ოჯახში ძალადობის, ქალთა მიმართ ძალადობის და სამუშაო ადგილზე ძალადობისა და შევიწროების წინააღმდეგ საბრძოლველად. სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს დაქვემდებარებაში არსებულ თბილისის თავშესაფარში ახალი სექცია გაიხსნა და მხარდაჭერა გაეწია ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციას თავშესაფრის გახსნის მიზნით სამცხე-ჯავახეთის ეთნიკურად მრავალფეროვან რეგიონში. გაეროს დახმარებით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ განიხილა და გააუმჯობესა ოჯახში ძალადობის რისკის შეფასების ინსტრუმენტის ეფექტურობა, რის შედეგად ელექტრონული მეთვალყურეობა ახლა უფრო მეტად არის გამოყენებული.

ეროვნულ დონეზე გაძლიერდა ტექნიკური შესაძლებლობები ადამიანის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ეს კი შესაძლებელი გახდა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის შესაძლებლობების ამაღლებისა და მისი ინსტიტუციური მხარდაჭერით სხვადასხვა მიმართულებით, როგორიცაა სახანძრო უსაფრთხოება და სამოქალაქო დაცვა, კრიზისულ სიტუაციაში კომუნიკაცია და ადრეული გაფრთხილების სისტემები, ასევე ევროკავშირის სამოქალაქო დაცვის მექანიზმებთან დაახლოება. შესაძლებლობების განვითარების ფარგლებში, საგანგებო სიტუაციების სამსახურიდან 15 მაშველისთვის სპეციალური ტრენინგი გაიმართა შშმ პირთა გადარჩენის თემაზე.

40

სამართალდამცავის კვალიფიკაცია კიდევ უფრო ამაღლდა ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე ეფექტურად რეაგირების მიზნით

ფოტო: ვლადიმერ ვალიშვილი/UNDP

საბას აცვია ლურჯი ფერის სპეციალური შარვალი სასწორისთვის, რომელიც შეიძლება სასწორის კაუჭზე ჩამოიკიდოს

სამაგალითო ისტორია

ზრუნვა დისტანციურად: პაციენტების დაკავშირება ჯანდაცვის სერვისებთან ტელემედიცინის საშუალებით

ანა ახალგაზრდა დედაა, რომელიც დროის უმეტეს ნაწილს სახლში, ბავშვის მოვლაში ატარებს ერთ პატარა სოფელში. გაეროს ტელემედიცინის ინიციატივის დახმარებით, ანასთვის უკვე აღარ არის საჭირო სოფლის კლინიკაში პირადად მისვლა. სოფლის ექიმმა ოჯახს დროებით გადასცა საბავშვო სასწორი, რომ თავიანთი შვილის წონა რეგულარულად აკონტროლონ, რასაც ანა ექიმს დისტანციურად გამართული შეხვედრის დროს შეატყობინებს.

„ჩემთვის, ტელემედიცინა შესანიშნავია გამოსავალია; საბას დაბადებიდან წონის მომატების პრობლემა ჰქონდა. ძალიან ვნერვიულობდით“, იხსენებს ანა. „ახლა თავად შემიძლია საბა ავწონო ბავშვის მექანიკური სასწორით.“

ბავშვის განვითარების დისტანციური მონიტორინგი გაეროს ხელმძღვანელობით განხორციელებული ძალისხმევის მხოლოდ ერთი კომპონენტია ტელემედიცინის სერვისების დანერგვის მიზნით, მთელს საქართველოში. 4.7 მილიონი ევროს ღირებულების პროგრამა ევროკავშირმა დააფინანსა და ის ერთობლივად ხორციელდება ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO), გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA), გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) და გაეროს პროექტების მომსახურების ოფისის (UNOPS) მიერ. აღნიშნული მხარდაჭერის ფარგლებში მიწოდებულია 1,700-ზე მეტი სამედიცინო ავეჯი და მოწყობილობა, თითქმის 9,200 სამედიცინო მასალა და ორგანიზებულია ტრენინგი აღჭურვილობის გამოყენებისა და ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებზე 400 ამბულატორიული ექიმისთვის 55 მუნიციპალიტეტში საქართველოს მასშტაბით. გადამზადებას ასევე გადიან სოფლის ექიმები, რომ ციფრული სამედიცინო მოწყობილობების გამოყენებით კონსულტაციები დისტანციურად გამართონ. ამ ძალისხმევის მიზანია საავადმყოფოების გადატვირთვის შემსუბუქება, დისტანციურად პაციენტების მონიტორინგის შესაძლებლობა და პრევენციული დიაგნოზების დასმა, რაც, სხვა სერვისებთან ერთად, ჯანდაცვაზე საყოველთაო წვდომას კიდევ უფრო მეტად უწყობს ხელს.

UNITED NATIONS
GEORGIA

ფოტო: FAO

შედეგი 3

გაეროს მხრიდან მონაწილე სააგენტოები:

Food and Agriculture Organization of the United Nations · UNDP · ITU · UN WOMEN · IFAD Investing in rural people · International Labour Organization · UNECE · IOM UN MIGRATION · unicef for every child · UNITED NATIONS INDUSTRIAL DEVELOPMENT ORGANIZATION

შედეგი 3

2025 წლისთვის, საქართველოში მდგრადი, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკით ისარგებლებს ყველა ადამიანი, დისკრიმინაციის გარეშე

	შესაბამისი მდგრადი განვითარების მიზნები	დანახარჯები 2023 წელს
შედეგი 3.1: გაუმჯობესებულია კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობა და სოციალური პასუხისმგებლობა	8, 9	$ 2.323.027
შედეგი 3.2: სოფლის მეურნეობისა და სოფლის მდგრადი და ინკლუზიური განვითარება, სასურსათო სისტემების გაძლიერება და საარსებო წყაროების გაუმჯობესება	1, 2, 8	$ 3.924.636
შედეგი 3.3: გაზრდილი ღირსეული სამუშაო, მათ შორის, პროდუქტიული დასაქმება, უნარების განვითარება და ეფექტური ეროვნული სოციალური დაცვა	1, 5, 8, 10	$ 3.454.425

$ 9.702.088

მთლიანი დანახარჯები

გაეროს მხრიდან მონაწილე სააგენტოები:

Food and Agriculture Organization of the United Nations · UNDP · ITU · UN WOMEN · IFAD Investing in rural people · International Labour Organization · UNECE · IOM UN MIGRATION · unicef for every child · UNIDO UNITED NATIONS INDUSTRIAL DEVELOPMENT ORGANIZATION

ფოტო: UN Women

გაერომ შესაძლებელი გახადა კერძო სექტორში ახალი პარტნიორობების დამკვიდრება ცირკულარული ეკონომიკისთვის 15 მუნიციპალიტეტში, პლასტმასას შემცირების და ცირკულარულობის გაზრდის ხელშესაწყობად

გაერო განაგრძობდა წვლილის შეტანას საქართველოს ინკლუზიურ ეკონომიკასა და ადამიანური კაპიტალის განვითარებაში, ღირსეულ სამუშაოსა და ქალთა გაძლიერებაზე აქცენტირებით.

საქართველოს კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობა უფრო ამაღლდა, კლასტერების განვითარებისთვის გაეროს მხრიდან გაწეული დახმარებით ისეთ სფეროებში როგორიცაა: შეფუთვა, სოფლის მეურნეობა (სათესლე და სანერგე), ფარმაცევტული და მეთევზეობის სექტორები. გაეროს დახმარება საქართველოში ამ კლასტერების წევრი კომპანიებისთვის მოიცავდა ინკლუზიური და მდგრადი ბიზნეს პრაქტიკების გაძლიერებას, ციფრული და მწვანე ტრანზიციის ინტერნაციონალიზებას და წარმოჩენას, ცოდნის გაზიარებას და ექსპორტის გაზრდას ევროკავშირში, მათ შორის, ქართული დიასპორის წარმომადგენელ მეწარმეებსა და ექსპერტებთან კავშირების დამყარებით.

საკანონმდებლო დონეზე, გაერომ მხარი დაუჭირა საქართველოს პარლამენტს „სურსათის დანაკარგებისა და მისი ნარჩენების შემცირების და სურსათის შეწირულების შესახებ“ კანონის მიღებაში. „სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის 2024-2027 წლების სტრატეგია“ და „აკვაკულტურის მდგრადი განვითარების ეროვნული სტრატეგია“ შემუშავდა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარედგინა. გაერომ ასევე ტექნიკური დახმარება უზრუნველყო „სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების შესახებ“ კანონპროექტის მოსამზადებლად, რომელიც თანხვედრაში იქნებოდა ევროკავშირის საერთო სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის მოთხოვნებთან, რომლის მიღებაც 2024 წელს იგეგმება. დანერგვის ეტაპზეა „ექსპორტის პოლიტიკის ხელშეწყობის პლატფორმა“. გაერომ ინსტიტუციური გადამზადება უზრუნველყო სურსათის ეროვნული სააგენტოს, შემოსავლების სამსახურის და სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრისთვის იმპორტის, ექსპორტის და სურსათის უვნებლობის რისკების შესახებ.

სოფლის მეურნეობისა და სოფლის მდგრად და ინკლუზიურ განვითარებას ხელი შეუწყო „საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგიის“ შესრულების შესახებ ანგარიშების გაციფრულებამ. გაერომ მთავრობასთან ითანამშრომლა, რათა დანერგილიყო თემზე დაფუძნებული ადგილობრივი განვითარების სახელმწიფო პროგრამა, როგორც ქვემოდან ზემოთ მიმართული მექანიზმი საზოგადოების ჩართულობის უზრუნველსაყოფად. უფრო მეტიც, გაერომ ონლაინ საბაზისო კურსი შეიმუშავა ინტეგრირებული და ინკლუზიური სოფლის განვითარების თემაზე.

გაგრძელდა სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან, გარე დაინტერესებული მხარეების მიერ NAITS-ში წვლილის შეტანის მიზნით ინსტიტუციური და საკანონმდებლო გზების გამოვლენისთვის.

2023 წელს გამოქვეყნდა „მონაცემთა შეგროვების და ანალიზის არსებული ინსტრუმენტების და რესურსების სწრაფი შეფასება კულტურების მონიტორინგისთვის“ და უწყებათაშორისი კოორდინაციის პლატფორმაც ჩამოყალიბდა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქსტატს შორის, მონაცემთა შეგროვების მეთოდოლოგიის გაუმჯობესების მიზნით.

გაერომ მოამზადა „ქვეყნის მეორე გენდერული შეფასება: სოფლის მეურნეობისა და სოფლად საარსებო საშუალებების გენდერული პროფილი საქართველოში“, გენდერულად მგრძნობიარე სოფლის განვითარების პოლიტიკის ინფორმირების მიზნით. მთავრობის დასახმარებლად პოლიტიკის რეკომენდაციები შემუშავდა, სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების პოლიტიკის განხორციელების მიმართულებით, ინკლუზიური ინსტრუმენტების და გენდერული მეინსტრიმინგის პრინციპების გამოყენებით.

გაეროს მხარდაჭერით, წინასაძირე და საძირეების სარგავი მასალების ობიექტები შეიქმნა მარნეულში, შიდა ქართლსა და აჭარაში, ასევე შესრულდა

163.522

აშშ დოლარზე მეტი შემოსავალი იქნა გამომუშავებული 63 მცირე და საშუალო მეწარმეთა მიერ (62% ქალი)

230

დაბრუნებულ მიგრანტს, მიგრანტ ოჯახებს და სოფლის სხვა მოსახლეობას მიაწოდეს ბიზნეს კონსულტაცია სერვის ცენტრებმა და ასევე გადაამისამართეს ისინი ბიზნესის მხარდაჭერის სხვადასხვა პროგრამებზე, რის შედეგადაც 88 ბიზნესი დაფინანსდა

სოფლის მეურნეობის სექტორის გაძლიერებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ნერგების სერტიფიცირების ეროვნული სისტემის განვითარება და შესაბამისი სამთავრობო უწყებების შესაძლებლობების ამაღლება ნერგების სერტიფიცირების და CAC სტანდარტების მიმართ, რაც მნიშვნელოვანია სერტიფიცირების სისტემის განხორციელების დროს. გაეროს მხარდაჭერით დაინერგა „ცხოველთა იდენტიფიკაციისა და მიკვლევადობის ეროვნული სისტემა“ (NAITS), მისი ანდროიდის აპლიკაცია გაუმჯობესდა და მუშაობა

ვეგეტატიური გამრავლების მასალების და სანერგეების შეფასება ამ რეგიონებში არსებულ ცხრა სანერგეში. „გამრავლების შემაფერხებელი პროგრამის“ განხორციელებით შესაძლებელი გახდა ყურძნის ჭიის (lobesia botrana), ვაზის მავნებლის კონტროლი, რაც ყურძნის შვიდ მწარმოებელთან განხორციელდა მცხეთა-მთიანეთის და კახეთის რეგიონებში.

ფოტო: RCO Georgia

მეხილე ფერმერებისა და მეღვინეებისთვის ტრენინგი გაიმართა ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების, ვენახის გასხვლის ტექნიკის და მავნებლების ინტეგრირებული მართვის საკითხებში. ასევე მოეწყო შვიდი სასოფლო-სამეურნეო ბაზრობა, 63 მცირე და საშუალო ზომის სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლის პროდუქციის საჩვენებლად (62% ქალი). აღნიშნული ინიციატივით ამაღლდა ცნობადობა ნიშური პროდუქტების შესახებ და 163,522 აშშ დოლარზე მეტი შემოსავალი იქნა გამომუშავებული მონაწილე მწარმოებლებისთვის 2023 წელს.

სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის სერვისების გაუმჯობესებაზე მიმართული მუდმივი ძალისხმევის ფარგლებში, გაერომ „ფერმერთა საველე სკოლები“ დააარსა და ტრენინგები გამართა სურსათის უვნებლობის შესახებ სხვადასხვა სექტორში, სადაც ყურადღება გამახვილდა გარემოს დაცვასა და ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებაზე, რძისა და თაფლის წარმოებასა და კულტურების მოყვანაზე.

ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობის მიზნით, გაერომ გურიისა და იმერეთის რეგიონებში არსებული ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა მოამზადა და შეაფასა, შემდეგ კი 25 სოფლის ინფრასტრუქტურულ პროექტზე მუშაობა დაიწყო სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან პარტნიორობით. დახმარება გაეწია იუსტიციის სახლს ხუთი სერვისის შემუშავებაში ნაკლებად წარმოდგენილი ჯგუფებისთვის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით. გაეროს დახმარებით ასევე შეიქმნა სერვის ცენტრები 11 მუნიციპალიტეტში, რომლებიც ერთი ფანჯრის პრინციპით ემსახურებიან სოფლად მცხოვრებ დაბრუნებულ მიგრანტებს, მათი სოციალურ-ეკონომიკური ჩართულობის მხარდასაჭერად.

ადამიანური კაპიტალის განვითარებისა და პროდუქტიული დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, გაერომ მხარი დაუჭირა ყოვლისმომცველი კონცეფციის შემუშავებას უმუშევარი და არააქტიური (NEET) ახალგაზრდების ინტეგრაციისთვის და სერვისები შემუშავებას შეუწყო ხელი მათი ჩართულობისთვის საგანმანათლებლო აქტივობებში ან დასაქმებაში. გაეროს დახმარებით ეროვნული სამოქმედო გეგმა შემუშავდა პროფესიულ განათლებაში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდების ჩართვის ხელშეწყობისთვის.

96

მეწარმე ქალის და 106 დამწყები მეწარმე ქალისთვის შესაძლებელი გახდა თავიანთი ბიზნეს უნარების გაუმჯობესება და ბიზნეს გეგმების შემუშავება. 994-მა ახალგაზრდა ქალმა და გოგომ ციფრული უნარები აიმაღლა

994

ახალგაზრდა ქალმა და გოგომ გაიღრმავა საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში ცოდნა პროექტის „500 ქალი ტექში“ დახმარებით

42

პოტენციური მეწარმისთვის ტრენინგები გაიმართა სოციალურ მეწარმეობაზე ახალგაზრდულ სააგენტოსთან პარტნიორობით

ფოტო: ირაკლი ძნელაძე/RCO Georgia

ფოტო: UNDP

გაეროს მხარდაჭერით განხორციელდა რეფორმები კერძო სექტორის უფრო მეტი ინსტიტუციური ჩართულობისთვის პროფესიული განათლების მიწოდებაში, რისთვისაც უნარების სერვისების ორგანიზაციები შეიქმნა, როგორც ახალი ინსტრუმენტები პროფესიული უნარების განვითარების ინკლუზიურობისთვის. კერძო სექტორის ხელმძღვანელობით ამ სერვისების გაუმჯობესების შედეგად სახელმწიფო დაფინანსება გაიზარდა და პროფესიულ განათლებაზე მოთხოვნამაც 70 პროცენტით მოიმატა 2022 წელთან შედარებით.

სოფლად მცხოვრებმა ქალებმა ბიზნესთან დაკავშირებით საბაზისო ცოდნა და რბილი უნარები შეიძინეს. მათ ასევე მიაწოდეს პერსონალიზებული რჩევები კარიერის შესახებ, ტექნიკური დახმარება და სამეწარმეო შესაძლებლობები.

კერძო სექტორისთვის ღირსეული შრომის ხელშეწყობისა და ინკლუზიური სამუშაო ადგილების შესაქმნელად შესაძლებლობების ამაღლების მიზნით, საქართველოში პირველად შემუშავდა „მრავალფეროვნების, სამართლიანობის და ინკლუზიის“ სახელმძღვანელო და შესაბამისი სერტიფიცირების პროგრამა, ადამიანური რესურსების მართვის გასაუმჯობესებლად ქართულ კომპანიებში. 2023 წელს გაერომ „ქალთა გაძლიერების პრინციპების“ მე-6 კონფერენცია გამართა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების, ანგელოზი ინვესტორების ქსელისა და ვენჩურული ფონდების მონაწილეობით, საინვესტიციო საკითხების გენდერულ ჭრილში განხილვის მიზნით. გაერომ მონაწილეობა მიიღო „კრეატივის საერთაშორისო ფესტივალზე AD Black Sea 2023“ ბათუმში და ჯილდოები მიიღო კამპანიისთვის, რომლის მიზანი იმ გენდერული სტერეოტიპების შესახებ ცნობიერების ამაღლებაა, რომლებსაც საქართველოში ქალები პროფესიის არჩევისას აწყდებიან.

ახალგაზრდულ სააგენტოსთან პარტნიორობით ტრენინგები გაიმართა სოციალურ მეწარმეობაზე 42 პოტენციური მეწარმისთვის. სერტიფიცირებულმა ტრენერებმა მათ კონსულტაციები გაუწიეს და ბიზნესის რეგისტრაციაში მხარდაჭერა აღმოუჩინეს, რის შედეგადაც 8 ბიზნესი დარეგისტრირდა 2023 წელს. ეს საწყისი ნაბიჯები საჩვენებლად გამოიტანეს თბილისში გამართულ ღონისძიებაზე, რომელიც დაინტერესებულ მხარეებთან დიალოგს მიეძღვნა სამეწარმეო ეკოსისტემის წარმოჩენასა და პროგრამის მდგრადობაზე. ამის შემდეგ, გაერომ გენერალური გეგმის პროექტი შეიმუშავა ხელისუფლებისთვის, ხოლო შიდა სტრატეგიის პროექტი - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციისთვის.

კერძო სექტორთან პარტნიორობა კიდევ უფრო გაძლიერდა „ჯუნიორ ტექ“ (Junior Tech) პროგრამის დაწყებით თბილისსა და ბათუმში, გაეროს მხარდაჭერით შექმნილი „ბიზნეს მრჩეველთა საბჭო ბავშვებისთვის“ ფარგლებში, სადაც 50-მა ახალგაზრდამ ციფრული უნარები შეიძინა. პოზიტიური მშობლობის სესიებს სხვადასხვა კომპანიის 100 თანამშრომელი დაესწრო.

სოციალური დაცვის მასშტაბის გაფართოებისთვის, გაერო პოლიტიკის დიალოგში ჩაება ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან, დედებისა და მამებისთვის დეკრეტული შვებულების პაკეტების შემუშავებისთვის, ეკონომიკაში ქალთა ჩართულობის ხელშეწყობისა და ოჯახების მხარდაჭერის მიზნით. საქსტატისა და გაეროს მიერ საქართველოში განხორციელებული ბავშვთა კეთილდღეობის გამოკვლევით, „ბავშვის მატერიალური და სოციალური დანაკლისის ინდექსი“ დაინერგა, რაც ხელს უწყობს მონაცემთა შეგროვებას ბავშვთა კეთილდღეობის უფრო ფართო გაგების საფუძველზე. გაეროს მხარდაჭერით, მთავრობა აპირებს გააანალიზოს ბავშვებისთვის ფულადი ტრანსფერების სხვადასხვა სცენარი, ბავშვთა სიღარიბესა და დანაკლისზე ზემოქმედების აქცენტირებით.

ექიმებისა და ექთნების მინიმალური საათობრივი ანაზღაურება ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამაში 2023 წლის იანვარში შემოიღეს, როგორც რეფორმის პირველი ნაბიჯი, რომელიც „ექსპერტიზ ფრანსის“ და გაეროს ტექნიკური დახმარების ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე ხორციელდება. გაეროს მხარდაჭერით ვიდეო ინფოგრაფიკა მომზადდა ექიმებისა და ექთნებისთვის მინიმალური ხელფასის რეფორმის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის ასამაღლებლად და კონკრეტული სამუშაო რეჟიმის ჩამონათვალის შემცირებისთვის (48-საათიანი სამუშაო გრაფიკი). შემდგომი ძალისხმევა მინიმალური ხელფასის რეგულირების გასაუმჯობესებლად მხარდაჭერილი იყო 2023 წლის განმავლობაში სოციალურ პარტნიორებთან განხილვების გზით. ექსპერტიზ ფრანსთან ერთად, გაერომ ასევე დაუკვეთა „უმუშევრობის დაზღვევის სქემის განხორციელების ხარჯების შეფასება საქართველოში“, რომელიც ხელისუფლებას 2023 წლის ბოლოს გადაეცა.

ფოტო: UNDP

იმერეთის თვალწარმტაც მთიანეთში მოთავსებული ჩაის კომპანია „ბუეთის“ ახალი საწარმოო ხაზი ეკოლოგიურად უსაფრთხო შეფუთვის გამოყენებას გულისხმობს

სამაგალითო ისტორია

ევროკავშირის და გაეროს პარტნიორობა მეწარმეობის და მწვანე ეკონომიკის განვითარებისთვის საქართველოში

„ბუეთი“ ჩაის პატარა კომპანიაა, რომელიც ქართული ჩაის ტრადიციების აღორძინებას ემსახურება, თანამედროვე და გარემოსადმი მეგობრული წარმოების პრაქტიკის დანერგვის გზით. ყოველწლიურად ისინი ამზადებენ დაახლოებით 10 ტონა ჩაის. „ბუეთი“ ერთ-ერთია იმ 100 მცირე და საშუალო საწარმოს შორის საქართველოში, რომელმაც პირდაპირი სარგებელი მიიღო გაეროსა და ევროკავშირის პროგრამიდან „ინოვაციური ქმედება კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისთვის საქართველოში“, რომლის განხორციელებაში ჩართულები არიან გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO), გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაცია (UNIDO) და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM).

პროგრამის დახმარებით, 1,500-ზე მეტმა ბიზნესმა შეძლო თავისი პროდუქციის ასორტიმენტის დივერსიფიკაცია და უფრო ფართო სამომხმარებლო ბაზაზე წვდომა. ასევე, ხელმისაწვდომი გახდა მდგრადი წარმოების შესაძლებლობები და გზაც გაიხსნა მომავალი გაფართოებისთვის. პროგრამის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევაა საქართველოში ბიზნეს კლასტერების განვითარება, შესაძლებლობების ამაღლება მონაწილე კომპანიებისა და მთელი ბიზნეს სექტორებისთვის, რომ წარმატებას მიაღწიონ როგორც ეროვნულ, ასევე გლობალურ დონეზე. მთლიანობაში, მწვანე და ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლაში დახმარება გაეწია შემფუთველთა კლასტერში გაერთიანებულ 150 კომპანიას, მათ შორის „ბუეთს“. პროგრამის მეშვეობით ასევე გაძლიერდა პარტნიორობები საჯარო და კერძო სექტორებს შორის ბიზნესის განვითარების სხვადასხვა სფეროში, მათ შორის, ნარჩენების მართვაში, ასევე შეიქმნა ძლიერი კავშირები ქართულ კომპანიებსა და ევროკავშირში მცხოვრები ქართული დიასპორის ბიზნეს ექსპერტებს შორის.

ფოტო: საქართველოს მთის ჩაის ასოციაცია

შედეგი 3

ფოტო: თაკო ჩიობაქიძე/UN Women

UNITED NATIONS
GEORGIA

შედეგი 4

გაეროს მხრიდან მონაწილე სააგენტოები:

UNHCR The UN Refugee Agency · Food and Agriculture Organization of the United Nations · UNFPA · World Health Organization European Region · UNODC United Nations Office on Drugs and Crime · unicef for every child · UN WOMEN United Nations Entity for Gender Equality and the Empowerment of Women · UNDP

შედეგი 4

2025 წლისთვის კონფლიქტით დაზარალებული თემები ისარგებლებენ ადამიანის უფლებებით, გაზრდილი უსაფრთხოებითა და მედეგობით

	შესაბამისი მდგრადი განვითარების მიზნები	დანახარჯები 2023 წელს
შედეგი 4.1: კონფლიქტით დაზარალებულ თემებს აქვთ გაუმჯობესებული წვდომა ძირითად სერვისებზე, როგორიცაა განათლება, ჯანდაცვა, გენდერულ ძალადობაზე რეაგირება და იურიდიული დახმარება	1 NO POVERTY, 2 ZERO HUNGER, 3 GOOD HEALTH AND WELL-BEING, 4 QUALITY EDUCATION, 5 GENDER EQUALITY, 11 SUSTAINABLE CITIES AND COMMUNITIES, 16 PEACE, JUSTICE AND STRONG INSTITUTIONS	$ 5.485.426
შედეგი 4.2: სოციალურ-ეკონომიკური პირობები და თემის მედეგობა გაუმჯობესებულია პროგრამებით, რომელთა ბენეფიციარები არიან კონფლიქტით დაზარალებული თემები	1 NO POVERTY, 3 GOOD HEALTH AND WELL-BEING, 4 QUALITY EDUCATION, 11 SUSTAINABLE CITIES AND COMMUNITIES, 16 PEACE, JUSTICE AND STRONG INSTITUTIONS	$ 6.260.705
შედეგი 4.3: დიალოგისა და მონაწილეობისთვის გაფართოებული სივრცე, რაც აძლიერებს სამოქალაქო საზოგადოებას, თემის მედეგობას, სოციალურ ერთობას და ქალთა, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის იმპლემენტაციას	1 NO POVERTY, 3 GOOD HEALTH AND WELL-BEING, 4 QUALITY EDUCATION, 11 SUSTAINABLE CITIES AND COMMUNITIES, 16 PEACE, JUSTICE AND STRONG INSTITUTIONS	$ 2.506.240

$ 14.252.371
მთლიანი დანახარჯები

გაეროს მხრიდან მონაწილე სააგენტოები:

UNHCR The UN Refugee Agency · Food and Agriculture Organization of the United Nations · UNFPA · World Health Organization European Region · UNODC United Nations Office on Drugs and Crime · unicef for every child · UN WOMEN · UNDP

ფოტო: UNHCR

გაერომ განაგრძო მუშაობა კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოწყვლადი პირების დასახმარებლად მთელი საქართველოს მასშტაბით, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებისა და ჰუმანიტარული პრინციპების საფუძველზე. 2023 წელს გაერომ მხარი დაუჭირა სამეგრელო-ზემო სვანეთისა და შიდა ქართლის რეგიონებში კონფლიქტის ზონაში გამყოფ ხაზთან მცხოვრებ თემებს, იძულებით გადაადგილებულ პირებს (დევნილებს) დაეხმარა მთელი საქართველოს მასშტაბით და მხარდაჭერა გაუწია სოციალურად დაუცველ მოსახლეობას აფხაზეთში.

პოლიტიკის დონეზე, გაეროს მხარდაჭერით, საქართველოს მთავრობამ გაეროს უშიშროების საბჭოს „ქალების, მშვიდობის და უსაფრთხოების“ რეზოლუციების (NAP 1325) ამოქმედების მეოთხე „ეროვნული სამოქმედო გეგმის“ განხორციელება განაგრძო 2022-2024 წლებისთვის. გაერომ ასევე ხელი შეუწყო „ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების“ დღის წესრიგის სხვა ასპექტებს, მათ შორის, უზრუნველყო 150-ზე მეტი ქალისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლის უფრო მეტად ჩართვა კონფლიქტის შედეგებზე მომუშავე პლატფორმებში, მათ შორის ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში (GID), „ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმში (IPRM), და ყოველწლიური ღია კარის დღის ღონისძიებაში ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ. ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგი ჩვიდმეტ მუნიციპალიტეტში იქნა ლოკალიზებული, რომლის სამიზნეც იყო 1,100-ზე მეტი დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული პირი, მათ შორის 1,035 ქალი და გოგო. გაერომ ასევე გააძლიერა თავისი ძალისხმევა ახალგაზრდობის, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის ლოკალიზაციის ხელშეწყობისთვის სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან გამოჩენილი ინიციატივებით.

გაერომ მხარი დაუჭირა დევნილ მოხალისეთა ქსელს, საქართველოს მთავრობასთან ორმხრივი კომუნიკაციის გასაუმჯობესებლად, რათა ხელი შეუწყოს სერვისებზე, მათ შორის, საარსებო საშუალებებსა და საბინაო პროგრამებზე წვდომას, დევნილ მოხალისეებსა და სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლებთან გამართული საინფორმაციო სესიების საშუალებით. ამ შეხვედრებით შესაძლებელი გახდა გაუმჯობესებისა და თანამშრომლობის პოტენციური სფეროების გამოვლენა, დევნილთა საჭიროებების და გამოწვევების შესაბამისად.

1,100 -ზე

მეტი დევნილი და კონფლიქტით დაზარალებული პირი (მათ შორის 1,035 ქალი და გოგო) 17 მუნიციპალიტეტში ლოკალიზებული ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის განხორციელების პროცესში ჩაერთნენ

3,065 -ზე

მეტმა კონფლიქტის შედეგად დაზარალებულმა ქალმა ისარგებლა საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგით და ოჯახის დაგეგმვის უფასო საკონსულტაციო სერვისებით

45,000

სოფლად მცხოვრებმა კონფლიქტით დაზარალებულმა ადამიანმა გაიუმჯობესა ხარისხიან ჯანდაცვის სერვისებზე წვდომა

გაერომ უზრუნველყო ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება უსაფრთხოების სექტორის მთავარი ინსტიტუტებისთვის გენდერული მეინსტრიმინგის და „ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების“ დღის წესრიგის საკითხებზე, რომლის ფარგლებშიც უსაფრთხოებისა და თავდაცვის სექტორის 500-მდე პერსონალმა მიიღო ინფორმაცია. გარდა ამისა, უსაფრთხოების სექტორის ორმა ინსტიტუტმა შიდა გენდერული პოლიტიკა და მექანიზმები დანერგა, როგორიცაა გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმა და სექსუალური შევიწროების პრევენციისა და მასზე რეაგირების მექანიზმები.

ჯანდაცვის სექტორში გაერომ სერვისების მიწოდება გააძლიერა აფხაზეთში, რაც საშუალებას მისცემს ჯანდაცვის რეგიონულ პროვაიდერებს შორს მცხოვრებ მოსახლეობას მომსახურება გაუწიონ. აფხაზეთში კონფლიქტით დაზარალებული ქალებისთვის ხარისხიანი სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისებზე წვდომის გასაუმჯობესებლად, ორი კლინიკური პროტოკოლი შემუშავდა მშობიარობის შემდგომი სისხლდენისა და მშობიარობის ინდუქციის შესახებ, ასევე გაძლიერდა ჯანმრთელობის რეფერალური მექანიზმი მაღალი რისკის მქონე ორსულებისთვის. უშუალოდ აფხაზეთში ცხრა, ხოლო თბილისის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე არსებულ სამედიცინო დაწესებულებებში შვიდი რეფერალი განხორციელდა, რითაც 16 დედის და მათი ახალშობილების სიცოცხლე გადაარჩინეს.

გაერომ ასევე მოაწყო მობილური ლაბორატორიის ვიზიტები აფხაზეთის შორეულ სოფლებში, საზოგადოების ყველაზე შორს მცხოვრები წევრებისთვის ხარისხიან სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის.

ფოტო: თაკო რობაქიძე/UN Women

გაერომ არსებითი მხარდაჭერა გასწია აფხაზეთში ინფექციური დაავადებების ადრეულ ეტაპზე გამოვლენისა და მათზე რეაგირებისთვის. ამ მიზნით, შესყიდული იქნა სხვადასხვა ლაბორატორიული ნაკრები და მასალები სეზონური გრიპის და სხვა მწვავე რესპირატორული დაავადებების, COVID-19-ისა და მაიმუნის ყვავილის ტესტირებისთვის. ასევე მოეწყო ტრენინგები ლაბორატორიის ექიმებისთვის და გაუმჯობესდა ლაბორატორიული ტესტირების დროს ხარისხის მართვა.

გაერომ ასევე განიხილა ინფექციური დაავადებების ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის არსებული პრაქტიკა და გაუმჯობესების გზები გამოავლინა. პირველადი ჯანდაცვის დონეზე არაგადამდები დაავადებების მართვის პრაქტიკის გადახედვისა და გაუმჯობესებისთვის დახმარებაც დაიწყო.

გარდა ამისა, გაერომ გააუმჯობესა ხარისხიან ჯანდაცვის სერვისებზე წვდომა სოფლად მცხოვრები, კონფლიქტით დაზარალებული თემებისთვის, ექვსი გარემონტებული და აღჭურვილი კლინიკის მეშვეობით აფხაზეთში და ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გასწვრივ თბილისის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე.

გაერომ ყურადღება მიაქცია რუტინული იმუნიზაციის მკვეთრად დაბალ მაჩვენებლებს და ზედამხედველობის დამხმარე აქტივობები განახორციელა პირველადი ჯანდაცვის 50 დაწესებულებაში, რის შედეგადაც 450-ზე მეტი ბავშვის ვაქცინაცია მოხდა. გაერომ ოთხი სამშობიარო და ცენტრალური საავადმყოფო აღჭურვა საინფორმაციო ტექნოლოგიის აღჭურვილობით, ტელემედიცინის ხელშეწყობის და კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი ახალშობილების რეფერირების მხარდაჭერისთვის. მენსტრუალური ჰიგიენის მართვის საკითხებზე 1,040 მოზარდი გოგო უფრო მეტად ინფორმირებული გახდა.

გაერომ მხარი დაუჭირა 28 ახალგაზრდულ კლუბს აფხაზეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში. ამ ინიციატივაში 840 სტუდენტი (362 ბიჭი და 478 გოგო) ჩაერთო, რომ წვდომა ჰქონოდათ ინფორმაციის მრავალფეროვან წყაროებზე, ამაღლდა მათი კრიტიკული აზროვნების და ენობრივი უნარები, მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა თემატური თემების განხილვაში. გაეროს დახმარებით, აფხაზურენოვანი ციფრული მასალები უფრო ფართოდ გახდა მისაწვდომი, ასევე შემუშავდა პროგრამა მრავალენოვანი განათლების პილოტირებისთვის სკოლამდელ დაწესებულებებში.

გარდა ამისა, სარემონტო სამუშაოების და საჭირო აქტივების მიწოდებით, 11 სათემო მხარდაჭერის პროექტი განხორციელდა, რომელთა მიზანი იყო დევნილთა დასახლებებში მდებარე სათემო სკოლებსა და სპორტულ კლუბებში სასწავლო გარემოს გაუმჯობესება და სამედიცინო სერვისებზე წვდომის ამაღლება 10,000-ზე მეტი კონფლიქტით დაზარალებული პირისთვის.

გაერომ განაგრძო 28 სოციალური მუშაკის მხარდაჭერა, რომლებიც მომსახურებას უწევენ ოჯახებს, ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვაზე ფოკუსირებით. საერთო ჯამში, სოციალური მუშაკების მიერ გაწეული სხვადასხვა სახის დახმარება 600-ზე მეტმა სოციალურად დაუცველმა ოჯახმა მიიღო, მათ შორის 2,000-მა ბავშვმა. გაერომ მხარი დაუჭირა ბავშვთა დაცვის არაფორმალური და თემზე დაფუძნებული მექანიზმების ფუნქციონირებას 69 სამიზნე თემში და ბავშვთა დაცვის სხვადასხვა სპეციალისტის გადამზადებას. გაერომ პოზიტიური მშობლობის ხელშეწყობა განაგრძო 376-ზე მეტი მშობლისთვის, მათთვის სასწავლო წრეების ორგანიზებით და ბავშვის უფლებების შესახებ საინფორმაციო ღონისძიებებში ჩართვით.

1,138

კონფლიქტით დაზარალებულმა პირმა ისარგებლა იურიდიული კონსულტაციით და დახმარებით

536

ქალისთვის უზრუნველყოფილი იქნა ფსიქოლოგიური და იურიდიული კონსულტაციები ოთხი კრიზისული ცენტრის მეშვეობით

154

ფერმერს (55 ქალი) გაეწია ტექნიკური კონსულტაცია

ფოტო: RCO Georgia

5,200

ბავშვმა (2,580 გოგო და 2,620 ბიჭი) 16 სკოლაში მიიღო წვდომა გაუმჯობესებულ წყლის, სანიტარულ და ჰიგიენურ სერვისებზე

გაერომ ქალთა და გოგოების მიმართ ძალადობის შემთხვევებზე რეაგირება განაგრძო, რის ფარგლებშიც 536 ქალისთვის უზრუნველყოფილი იქნა ფსიქოლოგიური და იურიდიული კონსულტაციები გალში, სოხუმში, გაგრასა და ოჩამჩირეში მოქმედი ოთხი კრიზისული ცენტრის მეშვეობით. ასევე დახმარება გაეწია, 347 ადამიანს, ვინც აფხაზეთში მოქმედ ორ ცხელ ხაზზე დარეკა. გენდერული ძალადობის წინააღმდეგ აქტივობის 16-დღიანი კამპანიის ფარგლებში გამართული ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების დროს, 42-მა სოციალურად დაუცველმა ქალმა და 58-მა ბავშვმა ისარგებლა საბაზისო სამედიცინო სკრინინგით და ინდივიდუალური კონსულტაციებით, რის შემდეგ მათ ასევე ჰიგიენური ნაკრებებიც გადაეცათ.

აფხაზეთში კვლავ გაგრძელდა თემზე დაფუძნებული მიდგომების პოპულარიზაცია მდგრადობის მიმართ. გაერომ მხარი დაუჭირა სამ ადგილობრივი განვითარების ჯგუფს (LAG) გაგრაში, გუდაუთასა და ოჩამჩირეში და სოციალურად დაუცველ ფერმერებს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის გაუმჯობესებასა და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვაში დაეხმარა. აგრობაზრობით 57-მა (43 ქალი) ბენეფიციარმა ისარგებლა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ცენტრის მეშვეობით. გარდა ამისა, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული 80 პირი გადამზადდა და მათ ასევე აღჭურვილობაც გადაეცა სამეწარმეო საქმიანობისთვის.

გაერომ ხელი შეუწყო ფერმერ ქალთა სოციალურ-ეკონომიკურ გაძლიერებას აფხაზეთში, საოჯახო რძის პროდუქტების წარმოების მხარდაჭერით. 54 ფერმერთა საველე სკოლაში ტრენინგი გაიმართა 971 წევრისთვის, რომელთაგან 23 ფერმერი უკვე წარმატებით აწარმოებს ყველის ახალ ჯიშებს და ეს პროდუქცია ბაზარზე გააქვს. აფხაზეთში ათი სეზონური და ხუთი არასეზონური სადემონსტრაციო ნაკვეთი მოეწყო, 367 ფერმერი გადამზადდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მრავალფეროვნების და ფერმის ინტეგრირებული მართვის საკითხებში. გაერომ ასევე წვლილი შეიტანა ტყის საშიში მავნებლების და დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლაში, ასევე გადაშენების პირას მყოფი ტყის სახეობების დაცვაში, ყოველწლიური კონტროლის გეგმების და in-situ და ex-situ კონსერვაციის ძალისხმევით.

აფხაზური ვაზის გენეტიკური რესურსების მართვის მხარდასაჭერად, გაერომ გუმისთაში 330 საძირე და 297 ენდემური ვაზი ჩამოიტანა.

გაერო 884 ქალს დაეხმარა სამეგრელო-ზემო სვანეთიდან (403) და აფხაზეთიდან (481) სამეწარმეო უნარების განვითარებასა და სათემო დონეზე ლიდერობაში, ფერმერთა საველე სკოლების მეშვეობით. სოხუმის და გალის კოლეჯებს საინფორმაციო ტექნოლოგიების აღჭურვილობა გადაეცათ, რის შედეგად კონფლიქტით დაზარალებული 300 ახალგაზრდისთვის (60% ქალი) ციფრულ უნარებსა და STEM განათლებაზე წვდომა გაიზარდა.

გარდა ამისა, გაეროს დახმარებით, ეკონომიკურად გაძლიერდა დევნილთა დასახლებებსა და ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ სოფლად მცხოვრები ათი ეთნიკური ქართველი და ოსი ქალი, რის შედეგად 21 ოჯახის ყოველთვიური შემოსავალი გაიზარდა და ასევე შეიქმნა პროდუქცია და მომსახურება, რომელიც არაპირდაპირ უწევს სამსახურს 900 ბენეფიციარს ადგილობრივ თემში და მის ფარგლებს გარეთ.

საჯარო სერვისებზე გამარტივებული წვდომისთვის, გაერომ წვლილი შეიტანა სამი საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაში აფხაზეთში, რითაც 815 მაცხოვრებელი ისარგებლებს სოფლად. გადაადგილების თავისუფლების მხარდასაჭერად და განათლებისა და საარსებო საშუალებებზე წვდომის ასამაღლებლად, გაერომ უფასო ავტობუსი გამოყო, რომელსაც ენგურის ხიდზე ყოველდღიურად 550-600 მგზავრი გადაჰყავს.

აფხაზეთში მრავლობითი საფრთხის შემცველი სათემო ადრეული შეტყობინების სისტემის გაძლიერების მიზნით, მეტეოროლოგიური ქსელი გაფართოვდა მდინარე კოდორში დამატებითი მეტეოროლოგიური სადგურების და წყლის დონის მზომი მოწყობილობების მეშვეობით.

ფოტო: ლელი ბლაგონრავოვა/UNDP

კოდორის და ბასლას მდინარის აუზებისთვის მრავლობითი საფრთხის შემცველი რისკის რუკა შემუშავდა. გარდა ამისა, სოხუმისა და ოჩამჩირის რაიონებში ადრეული გაფრთხილების ორი სათემო სისტემა შეიქმნა, რომლის ფარგლებშიც 208 ადგილობრივი მცხოვრები გადამზადდა კატასტროფებზე რეაგირებისა და ევაკუაციის დაგეგმვის საკითხებში.

აფხაზეთში სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების მიზნით, გაერო უწყვეტად მუშაობს ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შესაძლებლობების განვითარების და მდგრადობის ამაღლებისთვის, ასევე ხელს უწყობს დიალოგს და მონაწილეობას „ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგში“. გაეროს მხარდაჭერით, სოხუმში არსებული სამოქალაქო რესურსების ცენტრი კვლავ მოქმედებს როგორც დამაკავშირებელი ჰაბი ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოებისთვის. ამ ცენტრში ორგანიზებული იყო 60 ღონისძიება 600-ზე მეტი ბენეფიციარისთვის.

გარდა ამისა, 30-ზე მეტ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციას და საინიციატივო ჯგუფს გაეწია დახმარება შესაძლებლობების განვითარების მიზნით. აფხაზეთში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის პირველი ბაზრობა გაიმართა 600 ადამიანის მონაწილეობით, სადაც 35-ზე მეტი ორგანიზაციის წარმატებული მუშაობა იქნა წარმოდგენილი სამოქალაქო საზოგადოების სასიცოცხლო როლის შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად აფხაზეთში. 2023 წელს თხუთმეტი თემატურად ან გეოგრაფიულად მრავალფეროვანი ინიციატივა განხორციელდა სოციალური ზემოქმედების მიზნით, სამოქალაქო საზოგადოებისთვის გაცემული გრანტებით (50% ქალების მიერ დაფუძნებული ორგანიზაციებისთვის), 4,500 პირდაპირი ბენეფიციარისთვის.

ფოტო: FAO

243

ფერმერი ხუთ სასწავლო სესიას დაესწრო მევენახეობის, მეღვინეობისა და ვენახის მართვის თემაზე

1,067

ადამიანმა (725 ქალი) მიიღო დახმარება ბიზნეს უნარების განვითარებისა თუ საარსებო საშუალებების გაუმჯობესებისთვის

8,100 -ზე

მეტი ადამიანი გარემოს დაცვისა და წყალდიდობის პრევენციის 5 მცირემასშტაბიანი ინიციატივის განხორციელების შედეგებით ისარგებლებს



ფოტო: ამირან გოგიძე/UNDP

აფხაზეთის სოფელ კვიტოულიდან დევნილი ქალბატონი მზისადარ შონია

სამაგალითო ისტორია

კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების გაძლიერება ცხოვრების გაუმჯობესებისთვის

ქალთა გაძლიერება მდგრადი განვითარებისა და მშვიდობის მშენებლობის ქვაკუთხედად რჩება კონფლიქტით დაზარალებულ თემებში. გაერო დახმარებას უწევს ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზთან მცხოვრებ ქალებს, რომ უფრო თვითკმარი და წარმატებულები გახდნენ და ამ მიზნით რესურსებს აწვდის მათ ბიზნესის დაწყების, შემოსავლის მიღებისა და პროფესიული წინსვლისთვის. გასული წლის განმავლობაში, გაეროს დახმარება დაახლოებით 1,500-ზე მეტმა დევნილმა და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულმა ქალმა მიიღო.

მზისადარ შონიამ, აფხაზეთის სოფელ კვიტოულიდან დევნილმა ქალბატონმა, თავისი საცხობი ბიზნესისთვის აუცილებელი აღჭურვილობა მიიღო საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთის“ მხარდაჭერით, რომელიც „ევროკავშირი დიალოგისთვის“ (EU4Dialogue) პროგრამის გრანტის მიმღებია. ამ ინვესტიციით მზისადარმა უფრო მეტი ნამცხვარი გამოაცხო და მიმდებარე რაიონებში გაყიდა, რითაც თავისი შემოსავალი გაზარდა და ცხოვრება თავიდან მოიწყო. ევროკავშირისა და გაეროს მხარდაჭერა მხოლოდ ეკონომიკურ სარგებელს არ მოიცავს. მისი მეშვეობით ბევრი ადამიანი გაძლიერდა და საფუძველი მომზადდა საზოგადოების უფრო ხანგრძლივად გაძლიერებისთვის.

UNITED NATIONS
GEORGIA

მედეგი 5

ფოტო: ნინო ზეცგინიძე/ UNDP

გაეროს მხრიდან მონაწილე სააგენტოები:

Food and Agriculture Organization of the United Nations
unicef for every child
UN WOMEN
IFAD Investing in rural people
UNDRR UN Office for Disaster Risk Reduction
UNIDO UNITED NATIONS INDUSTRIAL DEVELOPMENT ORGANIZATION
UNODC United Nations Office on Drugs and Crime
UNECE
World Health Organization European Region
IOM UN MIGRATION
unicri United Nations Interregional Crime and Justice Research Institute
UN environment programme
UNDP

შედეგი 5

2025 წლისთვის საქართველოში თითოეული ადამიანის უსაფრთხოება და მედეგობა უზრუნველყოფილი იქნება დისკრიმინაციის გარეშე, გაუმჯობესებული გარემოსდაცვითი მმართველობის, კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ მიმართული ძალისხმევისა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვის შედეგად

	შესაბამისი მდგრადი განვითარების მიზნები	დანახარჯები 2023 წელს
შედეგი 5.1: გაუმჯობესებული გარემოსდაცვითი მმართველობა და ინსტიტუციური შესაძლებლობები, ქმნის ბუნებრივი/მიწის რესურსების რაციონალური, თანაზომიერი და მდგრადი გამოყენების შესაძლებლობას, უზრუნველყოფს ეკოსისტემების კონსერვაციას და მოსახლეობის მედეგობას ეკოლოგიური შოკების მიმართ	3, 6, 7, 10, 11, 13, 15	$ 1.516.258
შედეგი 5.2: კლიმატის ცვლილების მიმართ მგრძნობიარე, მედეგმა და რისკის შესახებ ინფორმირებულმა განვითარებამ, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, AFOLU-ის, ჯანდაცვის, წყლის უსაფრთხოების, მშენებლობის, ენერგეტიკისა და სურსათის წარმოების სექტორებში უზრუნველყო ადაპტაციის შესაძლებლობების გაზრდა და კლიმატის ცვლილების ზემოქმედების შერბილება LDN-ის შესაბამისად (მიწის ნეიტრალური დეგრადაცია).	6, 7, 10, 11, 13	$ 4.213.790
შედეგი 5.3: ინოვაციური და კლიმატისთვის უსაფრთხო ტექნოლოგიების გამოყენება ინკლუზიური მწვანე ეკონომიკის, ენერგოეფექტურობისა და სუფთა ენერგიის წარმოებისთვის, გაუმჯობესებს ეროვნულ დონეზე განსაზღვრულ წვლილს (NDC) და ხელს შეუწყობს გრძელვადიან დეკარბონიზაციის სტრატეგიას	2, 7, 8, 10, 11, 13	$ 1.661.516

$ 7.391.564
მთლიანი დანახარჯები

გაეროს მხრიდან მონაწილე სააგენტოები:

Food and Agriculture Organization of the United Nations · unicef for every child · UN WOMEN · IFAD Investing in rural people · UNDRR · UNIDO UNITED NATIONS INDUSTRIAL DEVELOPMENT ORGANIZATION · UNODC United Nations Office on Drugs and Crime · UNECE · World Health Organization European Region · IOM UN MIGRATION · unicri · UN environment programme · UNDP

ფოტო: გიორგი ცეცხლაძე/UNDP

2023 წელს გაერომ საქართველოსთვის ყოვლისმომცველი მხარდაჭერა განაგრძო გარემოსდაცვითი მმართველობის, კლიმატის ქმედების, კატასტროფების რისკის შემცირებისა და მართვის, მდგრადი სოფლის მეურნეობის, ბიომრავალფეროვნების დაცვის, ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვის, გარემოსდაცვითი ჯანმრთელობის და ჰაერის ხარისხის, ასევე ენერგოეფექტურობის მიმართულებით.

გაერო მთავრობას უწყვეტ დახმარებას უწევს მისი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების მიზნით კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით. აღნიშნული მხარდაჭერის ფარგლებში მიღებული იქნა „საქართველოს დაბალემისიიანი განვითარების სტრატეგია“, სადაც განსაზღვრულია გზები, თუ როგორ უნდა მიაღწიოს საქართველომ კლიმატნეიტრალურობას 2050 წლისთვის. ზემოხსენებული სტრატეგიის განხორციელების უზრუნველსაყოფად, გაეროს მხარდაჭერით ასევე შემუშავდა საგზაო რუკა.

გარემოსდაცვითი მმართველობის ხელშემწყობი პოლიტიკის კონტექსტის შესაქმნელად, გაერომ განაგრძო მხარდაჭერა მონრეალის პროტოკოლით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისთვის ოზონდამშლელი ნივთიერებების კვოტების და ლიცენზირების სისტემის შემოღების თაობაზე, შესაბამის მარეგულირებელ ჩარჩოში ცვლილებების შეტანით. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში მონიტორინგის ციფრული სისტემა დაინერგა, რომელიც ოზონდამშლელი ყველა ნივთიერების ელექტრონულად მიკვლევის საშუალებას იძლევა. გარდა ამისა, 160 გარემოსდაცვითი ინსპექტორი და 60 საბაჟო მოხელე გადამზადდა შეცვლილი კანონმდებლობის აღსრულების მიზნით.

გაერომ მხარდაჭერა გაუწია საქართველოს მწვანე წყალბადთან დაკავშირებით იმ ფონზე, როცა რეკომენდაციები იქნა შემუშავებული წყალბადის სტანდარტიზების და სერტიფიცირების თანმიმდევრული სისტემისთვის, სადაც ასევე მნიშვნელოვანი ინფორმაცია იქნა მიღებული დაინტერესებული მხარეების გამოვლენის შედეგად.

1,200 -ზე

მეტ ადგილობრივ მცხოვრებს გაეროს დახმარებით დაცული იქნა მსოფლიოში უნიკალური კოლხური ტყის ეკოსისტემა მაჭახელას დაცულ ტერიტორიაზე, მზის ენერგიის ტექნოლოგიების პოპულარიზაციის გზით შორის

31,076

მაცხოვრებელი წყალდიდობისგან უკეთ იქნება დაცული 6 მუნიციპალიტეტისთვის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავებისა და 9 წყალდიდობისგან დამცავი სამუშაოების დასრულების შედეგად

გაერომ ხელი შეუწყო ცოდნის გაზიარებას რესურსების კლასიფიკაციისა და შეფასების შესახებ „გაეროს რესურსების ჩარჩო კლასიფიკაციის“ საფუძველზე, ასევე აღნიშნული კლასიფიკაციის გამოყენებაზე სასარგებლო წიაღისეულის მიმართ და მისი განხორციელების სტატუსის შესახებ ევროპაში. გარდა ამისა, სატრანსპორტო სფეროში განახლებადი ენერგიის საკითხზე გამართულ სემინარზე ქართველმა ექსპერტებმა ცოდნა აიმაღლეს საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტების და საუკეთესო პრაქტიკის შესახებ. მთავრობის მოთხოვნით, გაერომ გაიდლაინები შეიმუშავა „სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებების“ შესახებ სივრცის დაგეგმარებაში.

გაერომ ასევე მხარი დაუჭირა პოლიტიკის შემაჯამებელი დოკუმენტის მომზადებას ეკოსისტემური სერვისების შეფასების საკითხზე, რომელმაც პოლიტიკის შემმუშავებელ პირებს აჩვენა, თუ რა ფინანსური ღირებულება მოაქვს მთავრობის დაფინანსების გაზრდას დაცული ტერიტორიებისთვის. საექსპერტო მხარდაჭერით და საველე კვლევისთვის საჭირო აღჭურვილობის გადაცემით, მთავრობის ინსტიტუციური შესაძლებლობები გაუმჯობესდა ბიომრავალფეროვნების ეფექტურად მონიტორინგისა და კოორდინაციის მიზნით. ასევე, გაეროს ხელშეწყობით „დაცული ტერიტორიების პირველი საერთაშორისო სამიტი“ გაიმართა ბორჯომში, რომლის მიზანიც საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება იყო.

გარდა ამისა, გაერომ მხარი დაუჭირა საქართველოს „ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული (ქბრბ) საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს“ სამოქმედო გეგმების განხორციელებასა და განახლებაში, შესაბამისი 2021-2030 წწ ეროვნული სტრატეგიის მიხედვით.

ზემოაღნიშნულთან ერთად, გაერო კვლავ უჭერდა მხარს გარემოსდაცვითი სტატისტიკის გაძლიერებას საქართველოში, ჰაერის ხარისხსა და ემისიებზე ფოკუსირებით, რეგიონული ტრენინგის მეშვეობით. განხორციელდა მისია, რათა საქართველო მიერთებოდა გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) კონვენციას „სამრეწველო ავარიების ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შესახებ“ და ამაღლებულიყო ცნობიერება კარგი პრაქტიკების შესახებ სამრეწველო უსაფრთხოების და წყლის ავარიული დაბინძურების პრევენციის საკითხებში.

გაერო მუშაობდა ეროვნულ დონეზე დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობების ასამაღლებლად

ფოტო: ირაკლი ძნელაძე/RCO Georgia

კლიმატური საფრთხეების რუკაზე ასახვის და პროგნოზირების, ასევე ადრეული გაფრთხილების სისტემების გასაუმჯობესებლად.

გაერომ მხარი დაუჭირა სტანდარტიზებული მიდგომის ჩამოყალიბებას ბუნებრივი საფრთხის შეფასებისა და მოდელირებისთვის, რამაც ძლიერი გარემოსდაცვითი პროგნოზირების საფუძველი შექმნა. მომზადდა საფრთხეების რუკები და რისკის მიმართ მოწყვლადობის ერთიანი შეფასებები დასავლეთ საქართველოს 7 მთავარი მდინარის აუზისთვის. ამ ღონისძიების მიზანი იყო მაღალი რისკის წინაშე მდგარი მოსახლეობის გამოვლენა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკების მორგება ადგილობრივ კონტექსტზე. 2023 წელს რისკის ოთხი მდინარის სააუზო მართვის გეგმების შემუშავება დასრულდა.

საქართველოს პროგნოზირებისა და ადრეული გაფრთხილების სისტემები მნიშვნელოვნად გაძლიერდა სამოცდაცხრამეტი ჰიდრომეტეოროლოგიური სადგურის დამონტაჟების

შედეგად. გენდერულად მგრძნობიარე სოციალურ-ეკონომიკური მოწყვლადობის შეფასების მეთოდოლოგია შემუშავდა და გამოყენებული იქნა მაღალი რისკის ზონაში მცხოვრები თემების გამოსავლენად. ამას გარდა, თემზე დაფუძნებული კლიმატის რისკის მართვის გეგმები შემუშავდა 15 მაღალი რისკის თემისთვის, მათი მდგრადობის გასაძლიერებლად.

მძლავრი კომპიუტერების შეძენის და პერსონალის მომზადების შედეგად, შესამჩნევად გაძლიერდა გარემოს ეროვნული სააგენტოს შესაძლებლობები საფრთხეების მოდელირების და რუკაზე გამოსახვის საკითხებში. საგანგებო სიტუაციების დაგეგმვის ტრენინგი და კატასტროფებზე ეფექტური რეაგირების სიმულაციური ტესტები გაიმართა საგზაო დეპარტამენტის 23 და მუნიციპალიტეტის 108 თანამშრომლისთვის. გაერომ ინსტიტუციური განვითარება და შესაძლებლობების ამაღლება უზრუნველყო საგანგებო სიტუაციების მართვისა და სამოქალაქო დაცვის გასაძლიერებლად, მარეგულირებელი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გადახედვის, მეხანძრეებისა და მაშველების შესაძლებლობების ამაღლების და სახანძრო უსაფრთხოების სტანდარტების ჰარმონიზებით ევროპულ საუკეთესო პრაქტიკებთან.

გაერომ პარტნიორობა გააძლიერა კერძო სექტორთან, ტყის მდგრადი მართვის გასაუმჯობესებლად პლატფორმის (www.forestfriend.ge) დანერგვით, რომლის მეშვეობითაც ეროვნულ სატყეო სააგენტოს კერძო სექტორის რესურსების მობილიზება შეეძლება ტყეების აღდგენისა და განაშენიანების ღონისძიებებისთვის.

გაერომ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სტრუქტურაში დანიშნული ეროვნული უწყების მხარდაჭერა დაიწყო, რათა საქართველოს დაბალემისიიანი და კლიმატმედეგი აგროსასურსათო სექტორის განვითარებაში დაეხმაროს. კლიმატის დაფინანსებისა და შესაძლებლობების მხრივ არსებული ხარვეზების შესახებ მონაცემების შესაგროვებლად ორი კვლევა განხორციელდა, შემდეგ კი კონსულტაციები გაიმართა სამოქალაქო საზოგადოებასთან, აკადემიურ წრეებთან, განვითარების პარტნიორებსა და საჯარო სექტორის წარმომადგენლებთან, ქვეყნის შესაძლებლობების განვითარებაზე მიმართული კონკრეტული აქტივობების შემუშავების მიზნით.

მოწყვლადი ფერმერების კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის შესაძლებლობების გასაზრდელად, გაერომ ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ მცხოვრებ ფერმერულ მეურნეობებს დახმარება გაუწია და ცოდნა გაუზიარა კონსერვაციული სოფლის მეურნეობის შესახებ. 98 კონსერვაციული სოფლის მეურნეობის სადემონსტრაციო ნაკვეთი მოეწყო. გარდა ამისა, ოთხი ფერმერთა საველე სკოლა დაორგანიზდა მეფუტკრეობისთვის და თორმეტი - რძის პროდუქტების წარმოებისთვის. სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან თანამშრომლობით და მავნებლების მართვის ხელშეწყობისთვის, გაერომ რეგიონული სადემონსტრაციო ტესტირება განახორციელა კახეთში კალიების წინააღმდეგ ბიოპესტიციდების გამოყენებით, რომელიც იცავს როგორც გარემოს, ასევე ადამიანის ჯანმრთელობას.

გარდა ამისა, გაერომ „საძოვრების მართვის ეროვნული პოლიტიკის“ კონცეფცია დაასრულა, რომლის ვალიდაციაც მოხდა ეროვნულ და მუნიციპალურ დონეზე დაინტერესებულ მხარეებთან გამართული სემინარებით და შემდეგ გამოყენებული იქნა შესაბამისი კანონმდებლობის მოსამზადებლად. „საძოვრების მდგრადი მართვის შესახებ“ კანონის პირველი პროექტი გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარედგინა განსახილველად.

გარდა ამისა, დასრულდა საძოვრების ინვენტარიზაცია და მრავალფაქტორიანი შეფასება დმანისის, ყაზბეგის და გურჯაანის მუნიციპალიტეტებისთვის. გაერომ აქტიურად იმუშავა ადგილობრივ ფერმერ ქალებსა და მამაკაცებთან, ცნობიერების ამაღლების მიზნით კონტროლირებადი ძოვების სისტემის შესახებ, რათა უზრუნველყოს მათი აქტიური ჩართულობა საძოვრების აღდგენის საპილოტე გეგმების განხორციელებაში. ასევე, გაეროს ტექნიკური მხარდაჭერით განხორციელდა მიწის კონსოლიდაციის საპილოტე პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა.

ფოტო: ირაკლი ძნელაძე/RCO Georgia

ფოტო: ირაკლი ძნელაძე/RCO Georgia

იმერეთსა და აჭარაში გაეროს მიერ შემოთავაზებული „ჯანმრთელობაზე გარემოს (ტყვიის) ზეგავლენის ზედამხედველობითი სისტემა“ ამოქმედდა, სადაც 2,000-მდე ბავშვის სისხლის ნიმუშები აიღეს და შეამოწმეს. იმ შემთხვევებში, როდესაც ბავშვების სისხლში ტყვიის შემცველობა მომატებული იყო (>10მკგ/დლ), ასევე გამოკვლეული იქნა ოჯახში და გარემოდან აღებული სინჯები. ანალიზის შედეგები მზად იქნება 2024 წელს და ეს ინფორმაცია საფუძვლად დაედება შემდგომ ინტერვენციებს სახელმწიფოს მხრიდან. ასევე, გაერომ ახალი ინიციატივა წამოიწყო შენობისშიდა ჰაერის დაბინძურების ზეგავლენის დასადგენად ბავშვების რესპირატორულ ჯანმრთელობაზე ოთხი მუნიციპალიტეტის შერჩეულ სკოლამდელ დაწესებულებებში.

გაერომ ასევე განაგრძო ტექნიკური მხარდაჭერა საქართველოში „გარემოს და ჯანმრთელობის ეროვნული სამოქმედო გეგმის“ განხორციელებისთვის ისეთ სფეროებში, როგორიცაა წყალი და სანიტარია, ქიმიური უსაფრთხოება, ჰაერის ხარისხი და კლიმატის ცვლილება. ოცდაექვსმა ქართველმა პროფესიონალმა, მათ შორის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ოფიციალურმა პირებმა გაიარეს გაეროს შესაძლებლობების განვითარების ონლაინ კურსი დაბინძურებული ობიექტების და ჯანმრთელობის თემაზე.

6,062

ადამიანმა კატასტროფების რისკის შემცირებისა და მართვის სასწავლო კურსი გაიარა

53,000 აშშ დოლარი

იქნა მობილიზებული ტყის მდგრადი მართვის ხელშეწყოფისთვის პლატფორმაზე (www.forestfriend.ge) 2023 წლის ივნისიდან

ფოტო: დავით ხელაშვილი/ FAO

„სურსათის მსოფლიო დღის“ აღნიშვნა ზუგდიდში

სამაგალითო ისტორია

სისტემური ცვლილებების ხელშეწყობა საკვების ნარჩენებისა და დანაკარგების შესამცირებლად

საკვების ნარჩენები და დანაკარგი სასურსათო უსაფრთხოების მიმართ რისკს ზრდის და გარემოზე უარყოფითად მოქმედებს. საქართველოში, გადაყრილი ნარჩენების დიდ ნაწილს სურსათი შეადგენს. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2022 წლის კვლევის თანახმად, მთელი მუნიციპალური ნარჩენების ნახევარზე მეტი (54.7%) ორგანული ნარჩენებისგან შედგება. სურსათის ნარჩენები ნაგავსაყრელებზე ცუდი ინფრასტრუქტურის და სათანადო პოლიტიკის არარსებობის გამო ხვდება.მიუხედავად იმისა, რომ ნაგავსაყრელებზე ყოველწლიურად მილიონობით ტონა საკვებად ვარგისი სურსათი ხვდება, საქართველოს მოსახლეობის თითქმის 10% საჭიროებს გაუმჯობესებულ წვდომას საკვებ პროდუქტზე. შეწირულობის სახით გაცემულ პროდუქტებზე მოგების და დღგ-ის საგადასახადო შეღავათებმა ვერ წაახალისა ძირითადი მწარმოებლები მიწოდების ჯაჭვიდან, რომ თავიანთი სურსათის ნარჩენები შეწირულების სახით დაერიგებინათ.

სურსათის შეწირულების წახალისების და ნარჩენების შემცირების მიზნით, საქართველოს პარლამენტმა გაეროს მხარდაჭერით 2023 წელს მიიღო კანონი „სურსათის დანაკარგებისა და მისი ნარჩენების შემცირების და სურსათის შეწირულების შესახებ“. ეს ახალი კანონმდებლობა საკანონმდებლო ჩარჩოს ადგენს სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების საკითხის გადასაჭრელად სურსათის მიწოდების ჯაჭვის ყველა ეტაპზე და ხელს უწყობს სურსათის შეწირულებას და გადანაწილებას. ახალ საკანონმდებლო ჩარჩოში ყველა საკითხია განხილული, როგორიცაა: სურსათის უვნებლობა, ჰიგიენა, ეტიკეტირება, თარიღის აღნიშვნა და გადასახადები. მნიშვნელოვანია, რომ შემოწირული საკვები ახლა შეიძლება აღირიცხოს როგორც საქველმოქმედო შეწირულება და არა დანაკარგი. აღნიშნული კანონი საქართველოში სასურსათო უსაფრთხოებისა და კვების გაუმჯობესების მიმართულებით გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია.

„აღნიშნული კანონპროექტის მიღება დიდ შესაძლებლობას ქმნის საქართველოში მოსახლეობის ინტერესებზე რეაგირებისთვის, საჯარო და კერძო სექტორებს შორის პარტნიორობის გზით. მინდა მადლობა გადავუხადო კერძო სექტორს, ასევე საქართველოს მთავრობას და ჩვენს პარტნიორებს გაწეული მხარდაჭერისთვის“, - განაცხადა საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ხატია წილოსანმა.

სურსათის ნარჩენების შემცირებისა და შეწირულების პრაქტიკის უფრო წარმოჩენისთვის, 2023 წლის ოქტომბერში „სურსათის მსოფლიო დღის“ აღნიშვნისას ზუგდიდში შეწირულებისთვის შესაფერისი პროდუქტების გამოფენა მოეწყო.

03

პარტნიორობის მხარდაჭერა და 2030 წლის დღის წესრიგის დაფინანსება

240-მდე
გაიზარდა გაეროსა და კერძო სექტორს შორის შექმნილი პარტნიორობების რაოდენობამ 2023 წელს

ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან პარტნიორობამ გადამწყვეტი როლი ითამაშა გაეროს ძალისხმევაში საქართველოს ეროვნული განვითარების პრიორიტეტების მხარდასაჭერად 2023 წელს. გაერომ თანამშრომლობა გააძლიერა ბევრ სხვადასხვა პარტნიორთან, მათ შორის, ცენტრალურ და ადგილობრივ მთავრობასთან, სოციალურ პარტნიორებთან, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, აკადემიურ წრეებთან, კერძო სექტორსა და საერთაშორისო პარტნიორებთან საქართველოში.

გაერო განაგრძობდა საქართველოს მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) საკოორდინაციო მექანიზმების, მათ შორის – მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული საბჭოს ეფექტური ფუნქციონირების მხარდაჭერას. შესაბამისი სამინისტროების, სამოქალაქო საზოგადოების, გაეროს სააგენტოებისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით, საბჭო სასიცოცხლო მნიშვნელობის პლატფორმას წარმოადგენს მდგრადი განვითარების მიზნების მიმართ საქართველოს პროგრესის კოორდინაციისა და შეფასებისთვის. 2023 წელს, ძალისხმევა ძირითადად მიმართული იყო მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალიზაციის მასშტაბის გაფართოებაზე, რისთვისაც ეს პროცესი კიდევ 14 მუნიციპალიტეტში დაიწყო და ჯამურად მათი საერთო რაოდენობა 32-მდე გაიზარდა. ნიუ-იორკში 2023 წლის სექტემბერში გამართულ მდგრადი განვითარების მიზნების სამიტზე სიტყვით გამოსვლისას, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ლოკალიზაციის გეგმაზე მდგრადი განვითარების მიზნების საკვანძო დონეზე ინტეგრირებისთვის და ხელახლა დაადასტურა, რომ 2025 წლისთვის 64-ვე მუნიციპალიტეტი ჩაერთვება მდგრადი განვითარების მიზნების დანერგვაში.

გაეროს მუდმივი კოორდინატორი საქართველოში განაგრძობდა „განვითარების პარტნიორთა საკოორდინაციო ჯგუფის“ თავმჯდომარეობას, რომელიც საქართველოს მხარდამჭერი ორმხრივი და მრავალმხრივი დონორებისა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობის კოორდინაციას ემსახურება. აზრთა გაზიარებისა და რეფლექსიისთვის ამ სივრცის არსებობა ხელს უწყობს პრიორიტეტების, შესაძლებლობებისა და გამოწვევების ერთნაირად გაგებას, ეფექტურ მონაწილეობასაც მთავრობის ხელმძღვანელობით განხორციელებულ დონორთა საკოორდინაციო მექანიზმებში.

გარდა ამისა, გაეროს მუდმივი კოორდინატორი თავმჯდომარეობდა „აფხაზეთის სტრატეგიულ პარტნიორობას“, რომლის ფარგლებშიც აფხაზეთში საქმიანობის განმახორციელებელი გაეროს ყველა სააგენტო და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია ერთიანდება. აღნიშნული პარტნიორობა ინფორმაციის გაზიარების და თანამშრომლობის პლატფორმას წარმოადგენს, ერთობლივი ანგარიშგების და რესურსების უკეთესად მობილიზებისთვის.

კერძო სექტორი გაეროს უმნიშვნელოვანესი პარტნიორია მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგის განხორციელებისთვის. წლების განმავლობაში, შესამჩნევად მოიმატა საქართველოში გაეროსა და კერძო სექტორს შორის შექმნილი პარტნიორობების რაოდენობამ, რაც 2022 წელს 156 იყო, ხოლო 2023 წელს 240-მდე გაიზარდა.

ამ სამუშაოს დიდი ნაწილი ორიენტირებულია უთანასწორობის შემცირებაზე, ღირსეული მუშაობის ხელშეწყობაზე, პასუხისმგებლობიანი მოხმარებისა და წარმოების ხელშეწყობაზე.

კერძო სექტორთან წარმატებული ურთიერთობის მაგალითია გაეროს მუშაობა „ქალთა გაძლიერების პრინციპების“ დანერგვის მიზნით, დამსაქმებლებთან თანამშრომლობით. 2016 წლიდან მოყოლებული, ამ ინიციატივას 175 კომპანია შეუერთდა, რაც მიზნად ისახავდა ქალთა უფლებების დაცვას დასაქმების ადგილას და სერვისების მიწოდების დროს, ასევე გენდერული თანასწორობის პოლიტიკების ადვოკატირებას საქართველოს მასშტაბით. აღნიშნული პარტნიორობა ახლა მცირე, საშუალო და მსხვილ საწარმოებს მოიცავს სხვადასხვა დარგებში, როგორიცაა განათლება, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ICT), საფინანსო და სამასპინძლო სფერო, სადაც ერთობლივად 70,000-ზე მეტი თანამშრომელია წარმოდგენილი.

2030 წლის დღის წესრიგის დაფინანსების კუთხით, 2024 წლის დასაწყისში გამოქვეყნებულ ყველაზე ბოლო „ანგარიშში მთავრობის საგარეო დახმარების შესახებ 2022 წ“ ნათქვამია, რომ საქართველოზე მომართული საერთაშორისო ფინანსური ნაკადების სქემები ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებით გათვალისწინებული მთავარი პრიორიტეტების თანმიმდევრული და შესაბამისია. 2022 წელს, საქართველოსთვის ჯამურად გამოყოფილი მიმდინარე დახმარება 4.36%-ით შემცირდა წინა წელთან შედარებით და 27.8 მილიარდი ლარი შეადგინა.

დასასრულ, როგორც ტრადიციული, ისე – ინოვაციური პარტნიორობა გაეროს ძალისხმევით საქართველოში საქმიანობის შეუცვლელი საყრდენია, რომელიც მდგრადი განვითარებისა და ინკლუზიური ზრდის ხელშესაწყობად კატალიზატორის დანიშნულებას ასრულებს. როგორც ნაჩვენებია მზარდი თანამშრომლობით მრავალ სხვადასხვა სექტორთან, ასევე – უფლებებზე დაფუძნებული ჩარჩოების სტრატეგიულად გამოყენებით, ეს პარტნიორობა გაეროს შესაძლებლობას უქმნის, რომ ზეგავლენა გააძლიეროს და მრავალწახნაგოვანი გამოწვევები ეფექტურად დაძლიოს.

04

ერთად მუშაობა უფრო ხშირად და უკეთესად: გაეროს თანმიმდევრულობა, ეფექტურობა და ეფექტიანობა

13

ჯამურად, 44 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ერთობლივი პროგრამები განხორციელდა 2023 წელს, რომლებიც მიზნად ისახავდა ერთობლივი შედეგების მიღწევას

2023 წელს გაეროს საქართველოს გუნდი ერთიანი ორგანიზაციის სახით საქმიანობას განაგრძობდა და არსებული სინერგიები კიდევ უფრო გააძლიერა ერთობლივი პროგრამირების, ადვოკატირების, კომუნიკაციისა და ბიზნესის პროდუქტიულობის ხელშეწყობის გზით.

გაერომ ერთობლივი კომუნიკაცია და ადვოკატირება განაგრძო განვითარების ძირითადი პრიორიტეტების თაობაზე სხვადასხვა საკომუნიკაციო არხისა და ფორუმის მეშვეობით. გაეროს დღეს, 2023 წლის 24 ოქტომბერს, სპეციალური პანელური დისკუსია მოაწყო გაერომ თბილისში, თემაზე: „ეკონომიკური ზრდიდან საყოველთაო კეთილდღეობამდე: მდგრადი განვითარების მიზნების სამიტის შემდგომი ვითარების შეფასება და მომავლის ხედვა“. ამ დისკუსიაზე განხილულ იქნა საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესი ღირსეული სამუშაოს დღის წესრიგის, სოციალური დაცვის რეფორმებისა და დეცენტრალიზაციის მიმართულებით, ასევე – სამომავლო სტრატეგიები სოციალური თანასწორობის მისაღწევად. ღონისძიების მონაწილეებს შორის იყვნენ მთავრობის, სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების, სამოქალაქო საზოგადოების, აკადემიური წრეების და კერძო სექტორის წარმომადგენლები, სხვა დაინტერესებული მხარეები, რომლებმაც საქართველოს ეკონომიკური ზრდის საერთო კეთილდღეობად გადაქცევის შესახებ დიალოგი გამართეს.

გაეროს საქართველოს გუნდმა სხვადასხვა პლატფორმა გამოიყენა, როგორიცაა: „თბილისის ქალთა საერთაშორისო კონფერენცია“ გენდერული თანასწორობისა და ქალთა როლის ადვოკატირებისთვის მდგრად განვითარებაში. საქართველოს გაეროს ასოციაციის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე „საერთაშორისო პარტნიორობა მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებისთვის“, მუდმივი კოორდინატორის ოფისმა მდგრადი განვითარების მიზნების სამიტის შემდგომ განვითარებული მდგომარეობის შესახებ სპეციალური პანელური დისკუსია გამართა, სადაც გაზიარებულ იქნა ინფორმაცია დღეისთვის არსებული სიტუაციის თაობაზე 2030 წლის დღის წესრიგის შესრულებასთან დაკავშირებით და ხაზი გაესვა, თუ რამდენად სასწრაფო მოქმედებაა საჭირო პოლიტიკის ძირითად სფეროებში. გაეროს საქართველოს გუნდმა 2023 წლის ოქტომბერში „მედიის და ინფორმაციული წიგნიერების კვირეულის“ ფარგლებში გამართული ღონისძიებების მეშვეობით ცნობიერება აამაღლა სიძულვილის ენის, დეზინფორმაციისა და მიზინფორმაციის საკითხებზე, ხაზი გაუსვა მედიაწიგნიერების წარმოჩენის მნიშვნელობასაც ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში.

გაერომ საქართველოში რამდენიმე საკომუნიკაციო კამპანია გამართა პრიორიტეტულ საკითხებზე ცნობიერების ამაღლების, მათი უფრო კარგად გაგებისა და შესაბამისი ქმედების წასახალისებლად. ერთთვიან კამპანიაში მონაწილეობდნენ მრავალფეროვანი ჯგუფები სხვადასხვა აქტივობისა და დისკუსიისთვის ადამიანის უფლებების საკითხებში ინფორმირებულობის ამაღლების და ჩართულობის ხელშესაწყობად. კამპანიის ფარგლებში სოციალური მედიის, მრგვალი მაგიდის დისკუსიები და მაღალი დონის კონფერენცია გაიმართა. გარდა ამისა, საქართველოს მასშტაბით სასკოლო ბიბლიოთეკებში ოთხი ახალი „თანასწორობის კუთხე“ შეიქმნა, რომლებიც მომარაგდა თანასწორობის, ტოლერანტობისა და ადამიანის უფლებების შესახებ წიგნებით, რის შედეგად ასეთი ბიბლიოთეკების რაოდენობა უკვე 21-მდე გაიზარდა. გაერომ ექვსი ერთობლივი განცხადებაც გამოაქვეყნა ქალების, ლგბტქი+ და სხვა მოწყვლადი ჯგუფების უფლებების ადვოკატირებისთვის, რომელთაგან რამდენიმე შეიმუშავეს სხვა განვითარების პარტნიორებთან ერთად.

გაეროს საქართველოს გუნდი აქტიურად მოქმედებდა, რომ უფრო ინტენსიურად ყოფილიყო ჩართული ადგილობრივ ხელისუფლებასა და სხვა ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან ერთად მუშაობაში. მუდმივი კოორდინატორის ხელმძღვანელობით, გაერომ კახეთში, ქვემო ქართლსა და აჭარაში სამი ერთობლივი ვიზიტი გაიმართა. ამ ვიზიტების მიზანი იყო გაეროს მხარდაჭერით განხორციელებული პროგრამების მიმოხილვა, ამ რეგიონებში ახალგამოვლენილი საჭიროებებისა და გამოწვევების შეფასება, სხვა შესაძლებლობების მოძიება ადგილობრივ დონეზე მოქმედ მხარეებთან თანამშრომლობისთვის, დეცენტრალიზაციის მიმდინარე რეფორმების კონტექსტით. თითოეული ვიზიტის ფარგლებში გაიმართა შეხვედრებიც ადგილობრივ სათემო ჯგუფებსა და ახალგაზრდებთან.

ერთობლივი საკომუნიკაციო და საინფორმაციო შეხვედრები მიზნად ისახავდა მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ მოსწავლეებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფორმირებასაც და მათ ჩართულობას შესაბამის აქტივობებში. თბილისისა და რეგიონების უნივერსიტეტებში ოთხი „მდგრადი განვითარების სივრცე“ ამოქმედდა ცნობიერების ამაღლებისა და მდგრად განვითარებაზე მუშაობის წახალისებისთვის. მდგრადი განვითარების მიზნებთან დაკავშირებულ დისკუსიებში, ბრიფინგებსა და ღონისძიებებში 2000-ზე მეტი სტუდენტი მონაწილეობდა, გაიმართა ორი პანელური დისკუსიაც აკადემიური წრეების წარმომადგენლებთან და ყოველწლიური „სამეცნიერო პიკნიკი“, რომლის მთავარი თემაც მდგრადი განვითარების მე-4 მიზანი „ხარისხის განათლება“ იყო.

კრიზისული კომუნიკაციისთვის უკეთესად მომზადებისა და მზადყოფნისთვის, რისკის კომუნიკაციის ერთობლივი გეგმა შემუშავდა და საქართველოში გაეროს სააგენტოების კრიზისული კომუნიკაციის ჯგუფი შეიქმნა.

უფრო მეტიც, გაეროს გენოციდის პრევენციისა და დაცვის პასუხისმგებლობის ოფისის მხარდაჭერით, გაეროს სააგენტოთა ჯგუფმა საქართველოში სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმა შეიმუშავა და მისი განხორციელება დაიწყო.

ერთობლივი დაგეგმვისა და ანგარიშგების მოდალობით, გაეროს სააგენტოთა ჯგუფში შესაძლებელი გახდა თითოეული სააგენტოს მუშაობის უკეთესად გაგება და შესაძლებლობების გამოვლენა მომავალში სინერგიების ჩამოყალიბებისთვის. „შედეგების ხუთი ჯგუფი“ ხელს უწყობს „გაეროს მდგრადი განვითარების თანამშრომლობის ხელშეკრულებით“ (UNSDCF) გათვალისწინებული ხუთი ძირითადი შედეგის მიღწევას, რასაც გაეროსა და მთავრობის მაღალჩინოსნებისგან დაკომპლექტებული „მმართველი კომიტეტი“ ზედამხედველობს. ამ არაერთი ძალისხმევის შემდგომში მხარდასაჭერად კი, ერთობლივად გაანალიზეს და იმოქმედეს გაეროს სააგენტოების გუნდის თემატურმა სამუშაო ჯგუფებმა, რომლებიც ისეთ სხვადასხვა გამჭოლ საკითხზე მუშაობენ, როგორიცაა: ადამიანის უფლებები, ახალგაზრდები, გენდერი, კომუნიკაციები და სხვ.

შედეგების ერთობლივად მიღწევის მიზნით, 2023 წელს გაეროს ცამეტი ერთობლივი პროგრამა განხორციელდა,

ფოტო: ლელი ბლაგონრავოვა/UNDP

905,360
აშშ დოლარი

დაიზოგა დანახარჯების თავიდან აცილების გზით 2023 წლის მონაცემებით

რომელთა საერთო ბიუჯეტი 44 მილიონ აშშ დოლარზე მეტს შეადგენდა. აღნიშნული პროგრამები სხვადასხვა პრიორიტეტულ სფეროში მიმდინარეობდა, როგორიცაა: ადამიანის უფლებების უკეთესად დაცვა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის სისტემის გარდაქმნა, გენდერული თანასწორობა, ტელემედიცინა, კონფლიქტით დაზარალებული თემების მხარდაჭერა, სოფლის განვითარება და კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლება. ამათგან, ექვსი ერთობლივი პროგრამა 2023 წელს დაიწყო, მათ შორის ახალი ინიციატივები გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისა და მიგრაციის უკეთესი მმართველობისთვის.

გარდა ამისა, გაეროს მიგრაციის ქსელმა ღონისძიებები განახორციელა, რომელთა მიზანი იყო მთავრობის, სამოქალაქო საზოგადოების და გაეროს საქართველოს გუნდის ცნობიერების, შესაძლებლობის და კოორდინაციის ამაღლება „მიგრაციის გლობალური კომპაქტის“ განხორციელების და მასთან შესაბამისი ანგარიშგების შესახებ. 2023 წლის დეკემბერში, ქსელის მიერ გამართულ ყოველწლიურ ღონისძიებაზე განხილული იქნა საქართველოს მთავრობის მიერ მოწესრიგებული შრომითი მიგრაციის, როგორც არარეგულარული მიგრაციის ცალსახა ალტერნატივის და საქართველოს განვითარებისთვის ხელშემწყობი ფაქტორის პოპულარიზებისა და ხელშეწყობისთვის გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯები.

2021 წელს „გაეროს სისტემაში მოქმედი სააგენტოების ერთიანი სამოქმედო გეგმის“ (UNCT-SWAP) ფარგლებში გაეროს ერთობლივ პროცესებსა და ინსტიტუციურ მოწყობაში გენდერული მეინსტრიმინგის ეფექტურობის სტანდარტიზებული შეფასება განხორციელდა და რეკომენდაციები მომზადდა, რის საფუძველზეც გაეროს საქართველოს გუნდმა შემდგომი ნაბიჯები გადადგა გენდერული თანასწორობის და ქალთა გაძლიერების გზაზე მდგომარეობის კიდევ უფრო მეტად გაუმჯობესების მიზნით. როგორც 2023 წლის ბოლოს შესრულებული ზემოაღნიშნული სამოქმედო გეგმის (UN-SWAP) წლიური შეფასების შედეგებით დადასტურდა, გაეროს სააგენტოთა ჯგუფი საქართველოში საქმიანობის განხორციელების ცხრა ინდიკატორის მიმართ არსებულ მინიმალურ მოთხოვნებს გადაჭარბებით ასრულებს და 5 ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნებს აკმაყოფილებს. თანამშრომლებს შორის გენდერული პარიტეტის შესახებ მონაცემების შეგროვების რეგულარული მექანიზმის შექმნის მხრივ, გაეროს სააგენტოთა ჯგუფი საქართველოში მინიმალურ მოთხოვნებს უახლოვდება და ამ სფეროში ერთობლივ მოქმედებას კიდევ უფრო ინტენსიურს გახდის 2024 წელს.

გაეროს საქართველოს გუნდმა უფრო მეტი ძალისხმევით განაგრძო სექსუალური ექსპლუატაციის, ძალადობის და შევიწროების პრევენციაზე მუშაობა. 2023 წელს მიღწეულ ძირითად შედეგებს შორის, გაეროს სააგენტოთა ჯგუფებს შორის შიდა გამოკვლევა გაიმართა, რომლის მიზანიც იყო დაედგინა, არსებობს თუ არა ქვეყნის და ორგანიზაციის დონეზე „სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის პრევენციის“ (PSEA) ინსტიტუციური შემოწმების მექანიზმი და რამდენად ხდება მათი განხორციელება.

კვლევის შედეგებით და რეკომენდაციებით მიღებული ინფორმაცია შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვისთვის იქნება გამოყენებული ორგანიზაციის და გაეროს საქართველოს გუნდის დონეზე. ამას გარდა, ერთი სრულდღიანი ტრენინგი გაიმართა 2023 წლის ნოემბერში სააგენტოს საკონტაქტო პირებისთვის, სადაც ისეთი თემები იქნა განხილული, როგორიცაა უწყებათაშორისი კოორდინაცია, მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომა, რისკის მართვა და განმახორციელებელი პარტნიორების შესაძლებლობების შეფასება.

საქართველოში გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინკლუზიის ჯგუფი შეიქმნა, როგორც შეზღუდული შესაძლებლობის ინკლუზიის საკოორდინაციო მექანიზმი, რომლის მიზანია ქმედების კიდევ უფრო გაძლიერება შეზღუდული შესაძლებლობის საკითხების უფრო მეტად ჩართვისთვის გაეროს სისტემაში და საქართველოსთვის გამოყოფილ დახმარებაში. 2023 წელს, ჯგუფმა წინადადება შეიმუშავა გაეროს ახალი ერთობლივი პროგრამის განსახორციელებლად ამ სფეროში და ამჟამად დაფინანსების მოძიებას ცდილობს. 2023 წლის დეკემბერში, აღნიშნულმა ჯგუფმა კონსულტაცია გამართა შშმ პირების ორგანიზაციებთან საერთო ინტერესის საკითხების განსახილველად, როგორიცაა საქართველოს შშმ პირთა უფლებების შესახებ კანონის განხორციელება და გაეროს ინიციატივები შეზღუდული შესაძლებლობის ინკლუზიის საკითხზე. ჯგუფი ასევე ჩაბმულია მონაცემთა შეგროვების ღონისძიებებში და მჭიდროდ თანამშრომლობს საქსტატთან, რათა გაუმჯობესდეს მონაცემების შეგროვება და მათი ჩაშლა, შშმ პირთა ინკლუზიის მხარდასაჭერად.

დაბოლოს, „ოპერაციების მართვის გუნდმა“ საქართველოში ბიზნესოპერაციების ერთობლივი სტრატეგიის განსახორციელებლად იმუშავა, საქმიანობის ეფექტიანად განხორციელების შედეგად მიღებული სარგებლის გაზრდისა და ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმების დანერგვისთვის გაეროს საერთო სერვისებში საქართველოს მასშტაბით. 2023 წლის მიმოხილვის შედეგად გამოვლინდა, რომ დაახლოებით 905,360 აშშ დოლარი დაიზოგა ხარჯების თავიდან აცილების გზით.

05

რესურსების მობილიზება და ფინანსური მიმოხილვა

2023 წლის დანახარჯები თანამშრომლობის ხელშეკრულებაში განსაზღვრული შედეგების სფეროს მიხედვით, აშშ დოლარში



შედეგი 1: $ 9,805,515
კარგი მმართველობა, ადამიანის უფლებები და კანონის უზენაესობა

შედეგი 2: $ 9,832,339
ჯანმრთელობა, განათლება და უკეთესი სერვისები

შედეგი 3: $ 9,702,088
ინკლუზიური ეკონომიკა და ადამიანის კაპიტალის განვითარება

შედეგი 4: $ 14,252,371
კონფლიქტით დაზარალებული თემების მხარდაჭერა

შედეგი 5: $ 7,391,564
კლიმატის ქმედება, გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების უკეთესად გამოყენება

სულ მოთხოვნილი და ხელმისაწვდომი რესურსები 2021-2025 წწ თანამშრომლობის ხელშეკრულების შედეგების მიხედვით, აშშ დოლარში



გაეროს მხარდაჭერის ფარგლებში საქართველოში გაეროს მდგრადი განვითარებისთვის გამოყოფილი თანხის ჯამი შეადგენს

51,000,000
მილიონ აშშ დოლარს

2021-2025 წლებში შეტანილი ჯამური ფინანსური წვლილი, დაფინანსების წყაროს და შედეგების მიხედვით, აშშ დოლარში

	დონორის დაფინანსება	მრავალმხრივი და რეგიონული ინსტიტუტები	ვერტიკალური და ერთობლივი სახსრები	მთავრობა	შტაბბინიდან გამოყოფილი დაფინანსება	კერძო სექტორი	სულ
საბოლოო შედეგი 1	32,605,095	15,942,349	4,967,252	1,445,722	3,303,063	30,000	**58,293,481**
საბოლოო შედეგი 2	10,963,286	18,931,174	4,204,881	-	10,573,017	-	**44,672,359**
საბოლოო შედეგი 3	61,245,718	18,931,852	2,692,738	182,089	3,996,446	-	**87,048,843**
საბოლოო შედეგი 4	43,225,109	-	5,110,648	-	6,533,742	-	**54,869,499**
საბოლოო შედეგი 5	28,163,955	10,745,585	20,859,537	-	1,650,921	-	**61,419,997**
სულ	**176,203,164**	**64,550,960**	**37,835,056**	**1,627,811**	**26,057,188**	**30,000**	**306,304,179**

2021-2025 წლებში გამოყოფილი ჯამური ფინანსური წვლილი, დაფინანსების წყაროს მიხედვით, აშშ დოლარში



სულ დაგეგმილი ბიუჯეტი თანამშრომლობის ხელშეკრულების განხორციელებისთვის 2021-2025 წწ გაეროს სააგენტოთა ჯგუფის მიერ, აშშ დოლარში





თანამშრომლობის ხელშეკრულების განხორციელების მთავარი დონორები 2023 წელს, აშშ დოლარში

ფოტო: ბეჟანიშვილი/UNICEF

06

გაეროს საქმიანობის ძირითადი ფოკუსი საქართველოში 2024 წლისთვის

მზარდი გლობალური არასტაბილურობის მიუხედავად, ბოლო წლებში საქართველოს ეკონომიკა სწრაფად გაძლიერდა. საქართველოს განვითარების ყველა პარტნიორის ურყევ მხარდაჭერასთან ერთად, ამგვარი ეკონომიკური აღმასვლა წარმოადგენს შანსს, რომ ქვეყნის შესაძლებლობები და რესურსები საერთო კეთილდღეობისა და თანასწორობისთვის იქნეს გამოყენებული, ასევე, განვითარების რეფორმები განხორციელდეს ადამიანისა და შრომის უფლებების დაცვის მიზნით, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის, განათლების გაუმჯობესებისთვის, ყოვლისმომცველი სოციალური დაცვის უზრუნველყოფისთვის, ღირსეული შრომის განმტკიცებისა და კლიმატის გაძლიერებისთვის. 2024 წელს საქართველო მესამე „ნებაყოფლობით ეროვნულ მიმოხილვას“ წარადგენს, რითაც შესაძლებელი გახდება მდგრადი განვითარების მიზნების მიმართ მიღწეული პროგრესის შეჯამება ეროვნულ დონეზე და პრიორიტეტების გადახალისება 2030 წლამდე.

გაეროს მდგრადი განვითარების ამჟამინდელი თანამშრომლობის ხელშეკრულების განხორციელების გზით, გაეროს სააგენტოთა ჯგუფი დახმარებას უწევს საქართველოს იმის უზრუნველყოფაში, რომ ეს რეფორმები არა მხოლოდ წარმატებული, არამედ სამართლიანიც იყოს, სადაც ფუნდამენტური პრინციპების სახით დაცული იქნება ადამიანის უფლებები და გენდერული თანასწორობა და არავინ დარჩება განვითარების პროცესების მიღმა. საკმარისი პოლიტიკური ნების გამოჩენის შემთხვევაში, ასეთი რეფორმები ქართველი ხალხის ცხოვრებას გააუმჯობესებს, გარე შოკების მიმართ ქვეყნის მდგრადობას გააძლიერებს და პასუხისმგებლობიანი ლიდერობის მაგალითს აჩვენებს გლობალურ დონეზე.

მოახლოებული საარჩევნო პერიოდი არის შესაძლებლობა, რომ ქართულ დემოკრატიაში ახალი ენერგია შემოვიდეს, უფრო ფართო და მნიშვნელოვანი სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობა იქნეს შესაძლებელი, მათ შორის, ახალი პროპორციული სისტემის სრულფასოვნად გამოყენებით. 2024 წელს გაერო საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციასთან ერთად იმუშავებს, რათა მხარი დაუჭიროს 2023 წელს განხორციელებული „გაეროს საარჩევნო საჭიროებების შეფასების მისიის“ მიერ შემოთავაზებული რეკომენდაციების შესრულებას.

პრინციპი, რომ არავინ დარჩეს განვითარების პროცესების მიღმა, მონაწილეობითი პოლიტიკის შემუშავებას მოითხოვს, რათა დავრწმუნდეთ, ისმის თუ არა ყველა ადამიანის ხმა. საჭიროა ყველა ჯგუფთან ერთად მუშაობაც მთელი საზოგადოების წახალისებისთვის. გაერო განაგრძობს ადვოკატირებას, რომ პოლიტიკის შემუშავებაში უზრუნველყოფილ იქნეს სოციალური პარტნიორების, სამოქალაქო საზოგადოების, ქართული დიასპორის, კერძო სექტორის, აკადემიური წრეების, მოწყვლადი ჯგუფებისა და თემების ეფექტური ჩართულობა და მათთან პარტნიორობას განაგრძობს საქართველოს განვითარების რეალურად მხარდასაჭერად. ჩვენ კიდევ უფრო მეტად დავუჭერთ მხარს დეცენტრალიზაციის რეფორმას მუნიციპალიტეტების გაძლიერების მიზნით, რომ შემდეგ მათ თვითონ უხელმძღვანელონ ადგილობრივ განვითარებას და იქაური მოსახლეობის სამოქალაქო მონაწილეობა გააღრმაონ. ჩვენ განვაგრძობთ დახმარებას კონფლიქტით დაზარალებული თემებისთვის საქართველოს მასშტაბით.

2024 წელს გაეროს სააგენტოთა ჯგუფი საქართველოში ახალ შიდა სინერგიებს მოიძიებს, ერთობლივი პროგრამირების, ადვოკატირების, კომუნიკაციისა და ოპერატიული ეფექტურობისა და ინოვაციების გასაუმჯობესებლად, რათა ხელი შეუწყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართვას, გენდერულ თანასწორობასა და გარემოს დაცვას. გაერო განაგრძობს ძალისხმევას სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის პრევენციის, დასაქმების ადგილზე სექსუალური შევიწროების აღმოფხვრის მიზნითაც, სადაც მთავარი ყურადღება იმის უზრუნველყოფას დაეთმობა, რომ უსაფრთხო და მისაწვდომი გზით შესაძლებელი იყოს ამ შემთხვევებზე შეტყობინება, მსხვერპლზე ორიენტირებული რეაგირება და გაზრდილი ანგარიშვალდებულება საქართველოში მოქმედი გაეროს ყველა სააგენტოსა და აღმასრულებელი პარტნიორებისთვის.

დაბოლოს, 2024 წელს საქართველოსთვის გაეროს მდგრადი განვითარების თანამშრომლობის მომდევნო ხელშეკრულების მომზადების ახალ ციკლს დავიწყებთ, რომელიც 2026 წლიდან 2030 წლამდე დროს მოიცავს და მოუთმენლად ველით ერთობლივ განხილვებსა და სამომავლო პრიორიტეტების დასახვას საქართველოს მთავრობასა და ყველა სხვა პარტნიორთან ერთად.

UNITED NATIONS
GEORGIA

გაეროს სააგენტოთა ჯგუფი საქართველოში
გაეროს სახლი, ერისთავის ქ. N9. თბილისი 0179, საქართველო
https://georgia.un.org